# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 5 აპრილი 1996 № 26 (251) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუშინ ბათუმელმა უჯმაჯურიძემ „სამტრედიას“ ორი ქულა დააკარგვინა



## სამტრედია 2:2 ბათუმი

სამტრედია: ჭანტურია, ხვადაგიანი, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ხუჭუა, გვასალია (ტყავაძე 87), დარასელია (ჩომახიძე 76), ჩხაიძე

ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ღლონტი, მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი (ი. მახარაძე 46), მ. მახარაძე, მაჭუტაძე (ფუტკარაძე 90), ტულუში, უჯმაჯურიძე, მინდაძე

1:0, 2:0 ხუჭუა (16, 23), 1:2 მუჯირი (25 პ), 2:2 უჯმაჯურიძე (88)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

სამტრედიაში, ისევე, როგორც მთელს იმერეთში, სასტიკი ქარი ქროდა და რასაკვირველია, ამან თამაშს დაღი დაასვა.

„სამტრედია“ პირველ ტაიმში უტევდა. იმერელმა ფეხბურთელებმა დასაწყისშივე მიიღეს ორბურთიანი უპირატესობა: ორივე გოლი გუნდის დებიუტანტმა ხუჭუამ გაიტანა. ამის შემდეგ გვასალიას კიდევ ორჯერ შეეძლო გაეტანა, ორივეჯერ თაურით, მაგრამ ამ დღეს კარგად მოთამაშე ტოგონიძემ ივარგა. 25-ე წუთზე სამტრედიელებმა მათ საჯარიმოში სახიფათოდ შეჭრილი უჯმაჯურიძე წააქციეს. ელგუჯა სილაგავას მიერ სამართლიანად დანიშნული თერთმეტმეტრიანი სტუმართა შტატიანმა პენალტისტმა ამირან მუჯირმა გამოიყენა და სხვაობა შეამცირა. პირველი ნახევრის დარჩენილ დროში მასპინძელთა მცდელობას ანგარიში გაეზარდათ, სასურველი შედეგი არ გამოუღია.

მეორე ტაიმში „ბათუმი“ გააქტიურდა. თამაშის ბოლოსკენ მასპინძლები ანგარიშის შენარჩუნებასღა ლამობდნენ. ამას მათ მიერ გაკეთებული შეცვლებიც ადასტურებს. თავდამსხმელები — გვასალია და დარასელია ნახევარმცველებმა ტყავაძემ და ჩომახიძემ შეცვალეს. მატჩიც თითქოს მასპინძელთა, ანუ თბილისის დინამოელთა მთავარი მდევრების გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 88-ე წუთზე უჯმაჯურიძემ მოედნის სიღრმიდან გრძელი გადაცემა მიიღო, ბურთი ჭანტურიას თავზე გადაუგდო და ანგარიშიც გაყაიმდა.

„სამტრედიამ“ წაიფორთხილა, რაც ნანატრი ორი ქულის დაკარგვის ფასად დაუჯდა. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კი ეს დეფიციტი, ადვილად შესაძლებელია, დაუფარავი დარჩეს.

ვახტანგ ბზიკაძე
სამტრედიიდან

## დინამო 1:0 ზუგდიდი

დინამო: ჭანტურია, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი, ყიზილაშვილი (დემეტრაძე 75), კერძევაძე, ანჩაბაძე, გადელია (იაშვილი 46)

ზუგდიდი: ნაყოფია, ახვლედიანი, ჯაბუა, გუგუჩია (აიანიდი 76), მიქაძე, კუკავა (ერქვანია 68), კვარაცხელია, კუტალია (ჩიტაია 87), გაბედავა, ჯავაშვილი, აფაქიძე

1:0 გოგიჩაიშვილი (44)

გაფრთხილება: ანჩაბაძე

მსაჯი: შ. ხანიაშვილი

„დინამომ“ მატჩი სამი ძირითადი ფეხბურთელის — ზოიძის, კობიაშვილის და კიკნაძის გარეშე ჩაატარა. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელებულმა ცქიტიშვილმა ითამაშა. თბილისელი ნახევარმცველი ჯერჯერობით ჩვეულ ფორმაში ვერ გახლავთ, მაგრამ მოწინააღმდეგეს დროდადრო საკმაოდ მწარედ ჩხვლეტდა. სწორედ ლევანმა შექმნა სტუმართა კართან პირველი სახიფათო მომენტი. გოგიჩაიშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა, ცქიტიშვილმა ბურთი მკერდზე მიიღო და შეუჩერებლად დაარტყა — ბურთმა კინაღამ ხარიხა ჩამოაგდო. ამის მერე ყიზილაშვილს შეეძლო გაეტანა: ანჩაბაძემ კერძევაძეს მიაწოდა, „ბაჯბაჯამ“ კი ყიზოს დაუგორა, რომლის დარტყმული მიზანს ასცდა. საერთოდ, ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს — ზუგდიდელებს ასე თავგანწირვით ამ სეზონში ჯერ არ უთამაშიათ, ახალგაზრდული გუნდის კვალობაზე კი კარგადაც გამოიყურებოდნენ. ის კი არა, გოლის გატანაც შეეძლოთ: კვარაცხელიას მიერ მარცხენა ფრთაზე წამოწყებული შეტევა საჯარიმოში ჩაწოდებით დამთავრდა — ექს-ზუგდიდელი ჭანტურია მაღალ ბურთზე გამოვიდა, მაგრამ გაბედავასთან ორთაბრძოლაში ხელიდან გაუვარდა. ზუგდიდელთა ცხრა ნომერმა დაუყოვნებლივ დაარტყა, მაგრამ მაჭავარიანმა ივარგა და მოიგერია. მოგერიებულს აფაქიძემ დაამატა. თითქოს გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ კალაძემ ზედ კარის ხაზიდან ბურთი კუთხურზე მოიგერია. ეს იყო და ეს. სტუმრებს დინამოელი გოლკიპერი მეტჯერ არ შეუწუხებიათ. მასპინძლებმა ისევ შეუტიეს. ზუგდიდელთა ლიბერომ ერთ მომენტში ბურთი იმდენი ათრია, სანამ კერძევაძემ არ წაართვა და ნაყოფიასთან პირისპირ არ დარჩა. სტუმართა ბედზე მათი გოლკიპერი არ დაიბნა და დარტყმა მოიგერია. ნაყოფიამ კიდევ ორსამჯერ იხსნა კარი გოლისგან, მაგრამ ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გოგიჩაიშვილის ზუსტად და ძლიერად დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა. წარმატებით დაგვირგვინებული შეტევა კი მცველმა ლობჟანიძემ წამოიწყო, მერე ანჩაბაძემ გოგიჩაიშვილი მოძებნა, თავად გოლზე კი ზემოთ გიამბეთ.

მეორე ნახევარში „დინამო“ ისევ უტევდა. გოლის გატანა შეეძლო ყიზილაშვილს, იაშვილს, სულ ცოტა სამჯერ დემეტრაძეს, მაგრამ ბურთს არაფრის დიდებით არ სურდა ბადეში გახვევა. ის კი არა, გოგიჩაიშვილმა იაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიც ვერ გამოიყენა — დინამოელის დარტყმული ხარიხას მოხვდა და მოედანზე დაბრუნდა. თამაშის ბოლოს კიდევ ერთხელ ივარგა სტუმართა მეკარემ და დაცვამ. დემეტრაძის თავით დარტყმულს ნაყოფია თითებით შეხვდა, ხოლო მისი ხელიდან ბურთი ძელს მოხვდა და ლობჟანიძეს მიუვიდა. ყველას ეგონა, გოლიაო, მაგრამ საიდანღაც სტუმართა კაპიტანი აფაქიძე გამოძვრა და ნუგზარს ბურთი მოქნეული ფეხიდან ააცალა. ამ გამარჯვების შემდეგ „დინამო“ ერთპიროვნული ლიდერი გახდა. დიდი საფრთხე არც ზუგდიდელებს ემუქრებათ. თუ ასე გულიანად ითამაშებენ, ჯგუფში დარჩენა გარანტირებული ექნებათ.

ზუგდიდელთა გუნდის თავკაცმა ბადრი თუთბერიძემ შემდეგი მოგვახსენა:

— ანგარიშით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. „დინამოსთან“ მინიმალური სხვაობით საქართველოში თითქმის არავინ აგებს. რაც შეეხება ჩემი ბიჭების თამაშს, მათი მადლობელი ვარ, თავდადებით და გულიანად იბრძოლეს, მაგრამ არ გაბრაზდებიან, თუ ვიტყვი, რომ დასახვეწი და საშრომი ბლომად აქვთ. ჩვენში ბოლო ჟამს ბევრი რამ შეიცვალა და გამოსწორდა. ასე რომ...

მამუკა კვანტალიანი

## დანარჩენი მატჩები

ეგრისი 3:6 კოლხეთი

სიონი 3:1 ტორპედო

გურია 2:0 დილა

ივერია 2:1 შევარდენი

დურუჯი 1:5 მეტალურგი

კახეთი 1:3 მარგვეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 15 | 4 | 1 | 58-10 | 49 |
| სამტრედია | 20 | 14 | 5 | 1 | 63-23 | 47 |
| მარგვეთი | 20 | 15 | 1 | 4 | 57-18 | 46 |
| მეტალურგი | 20 | 15 | 0 | 5 | 47-21 | 45 |
| კოლხეთი | 20 | 13 | 2 | 5 | 48-32 | 41 |
| ბათუმი | 20 | 11 | 5 | 4 | 47-20 | 38 |
| ტორპედო | 20 | 11 | 4 | 5 | 42-28 | 37 |
| დილა | 20 | 9 | 4 | 7 | 35-30 | 31 |
| შევარდენი | 20 | 7 | 2 | 11 | 28-35 | 23 |
| ივერია | 20 | 6 | 2 | 12 | 20-38 | 20 |
| ზუგდიდი | 19 | 6 | 1 | 12 | 28-45 | 19 |
| კახეთი | 20 | 5 | 3 | 12 | 18-45 | 18 |
| სიონი | 19 | 5 | 0 | 14 | 18-37 | 15 |
| გურია | 20 | 5 | 0 | 15 | 17-50 | 15 |
| ეგრისი | 20 | 4 | 2 | 14 | 32-52 | 14 |
| დურუჯი | 20 | 0 | 1 | 19 | 6-81 | 1 |

## მოკრივეთა ხუთი ლიცენზია!

დანიის ქალაქ ვეილეში მიმდინარე მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე დასრულდა მერვედფინალები. ყველა წონაში გაირკვა ის 8-8 მოკრივე, ვინც ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიები მოიპოვა. მათ შორის საქართველოს ხუთი წარმომადგენელია: კობა გოგოლაძე (60), ბესიკ ვარძელაშვილი (63,5), თენგიზ მესხაძე (67), აკაკი კაკაურიძე (75) და გიორგი კანდელაკი (91). დანარჩენები ტურნირს გამოეთიშნენ, თუმცაღა ლიცენზიის მიღების შანსს ინარჩუნებს ილია ტლაშაძე (71). დებულების მიხედვით, თუკი მერვედფინალში მისი მძლეველი ჩემპიონი გახდება, ქართველ მოკრივეს ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება მიეცემა.

ქართველთა ხუთეული უკვე მედლებისთვის აგრძელებს ბრძოლას. მეოთხედფინალები გუშინ ღამით გაიმართებოდა.

# რაგბი წითელ პარასკევს არა ქუთაისში, არამედ ვაკეში!



**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველო — ჩეხეთის საერთაშორისო მატჩი, 12 აპრილს რომ უნდა გამართულიყო ქუთაისში, ჩატარდება თბილისში.

სამშაბათს რაგბის კავშირის სამკაციანი დელეგაცია ეწვია რიონისპირა ქალაქს. გაირკვა, რომ ქუთაისის ცენტრალური სტადიონი ცუდ დღეში ყოფილა. გარდა ამისა, დედაქალაქელ სტუმრებს ერთობ ძვირი დაუფასეს ნაკრების საწვრთნელი შეკრების მოწყობა. ამ მიზეზთა გამო ქართული რაგბის ხელმძღვანელებმა თამაშის თბილისში გადმოტანა ამჯობინეს.

აქ წარმოიშვა სტადიონის პრობლემა. რაგბის მატჩის დღეს ეროვნული სტადიონი დაკავებული აღმოჩნდა — „დინამო“ და „მეტალურგი“ ზედ ფეხბურთს ითამაშებენ. „შევარდენის“ სტადიონის პატრონებმა რაგბის გამართვა თავიდანვე შორს დაიჭირეს, ასკ-ის სტადიონზე კი რემონტია, თუმც კი მთავრდება.

მორაგბეებს ერთი არჩევანიღა დარჩათ — ნაცადი, ნაჩვევი, მშობლიური „ლოკომოტივი“, რომელიც შეიძლება ქუთაისის სტადიონზე მეტადაც იყოს გავერანებული, მაგრამ იქ ნაკრები თავს მართლაც შინ იგრძნობს.

რაკი ვაკის სტადიონის გასახდელებში გაგანია რემონტია, 12 აპრილის თამაშის მონაწილენი სპორტის დეპარტამენტის სამდარბაზიანი სპორტკომპლექსისა და საუნის გასახდელებით ისარგებლებენ, თუმცკი ორიოდ პრობლემა მაინც მოსაგვარებელი რჩება.

ერთი, რომ საქართველო — გერმანიის თამაშისათვის საგანგებოდ დამზადებული ეშხიანი კარები ეროვნული სტადიონის საწყობიდანაა გამოსატანი და ვაკის სტადიონისთვის მისასადაგებელი, და მეორეც, სტადიონის ღობე მორღვეულია, განსაკუთრებით კი პარკის მხრიდან. ამიტომ მატჩის მომწყობთ გვარიანი საზრიანობა მართებთ, მაყურებელთა უმეტესობას რამენაირად რომ შეაძენინონ ბილეთი, მით უფრო, თუ სტადიონზე დღესდღეობით ოდენ 12 ათასი დასაჯდომი ადგილია.

**ამასობაში** ოთხშაბათს ამოიწურა ქვეყნის ჩემპიონატის მონაწილეთა განაცხადების მიღების ვადა. როგორც ნაღდ სამხედროებს შეშვენით, განაცხადი დროულად და ზუსტად წარმოადგინა ასკ-მა, აგრეთვე ბათუმის „დელფინებმა“. ნაკლული საბუთები მიუტანიათ კავშირის ოფისში „გუმარსა“ და „დინამოს“. ცნობილია ისიც, რომ ქუთაისის გუნდები დღე-დღეზე ჩამოიტანენ დოკუმენტებს დედაქალაქში. სხვა გუნდებისგან ჩამიჩუმიც არ ისმის. ამათ ქართული არჩეინობის საფასურად 50-50 ლარი ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

სხვა საშინაო სიახლეებიდან აღსანიშნავია რკინიგზის რაგბის კლუბის აღდგენა. მასში მთლიანად გადავიდა შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორი „თბილისი“, ვისაც თემურ ბენდიაშვილი წვრთნის. კლუბს „ქორები“ ერქმევა. მისი წინამორბედები იყვნენ „ლოკომოტივი“ და „ელმავალი“, რომლებსაც კარგა ხანს ბენდიაშვილივე წვრთნიდა.


საზოგადო გაზეთებისა და ტელე-არხების სპორტული რედაქტორების საყურადღებოდ!

საქართველოს რაგბის კავშირი ხვალ, 6 აპრილს, დღის 1 საათზე, თავის ახალ ოფისში (სპორტის დეპარტამენტის შენობის მარცხენა ფრთა, მესამე სართული) აწყობს 1996 წლის სარაგბო

სეზონის პრეზენტაციას

სტუმარ ჟურნალისტებს შეხვდებიან რაგბის კავშირის ხელმძღვანელები და ეროვნული ნაკრების მწვრთნელები და მოწინავე მოთამაშეები. სტუმრებს მუქთად ჩამოურიგდებათ წიგნაკად გამოცემული საინფორმაციო პაკეტი.



# ლეჩკომბინატი: პალატა ნომერი 604

ეს ის პალატა გახლავთ, სადაც თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელს, ბატონ დავით ყიფიანს მივაკითხე. შეხვედრისას ჩვეულ თემაზე, ფეხბურთზე, არ გვისაუბრია. ეს 604-ე ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე „ლეჩკომბინატის" პალატა გახლავთ, სადაც ყიფიანი კარდიოლოგიურ განყოფილებაში იწვა...

...29 მარტს „ბერიკონში" გამართულ ეროვნული თასის კენჭისყრას დავით ყიფიანი არ ესწრებოდა. ამისათვის დიდი ყურადღება არც მიმიქცევია — იქ არც სხვა ნახევარფინალისტთა მწვრთნელები დამინახავს, მაგრამ მოგვიანებით გავიგე, რომ „დინამოს" მწვრთნელი გუნდს „ბათუმთან" პრინციპულ შეხვედრაზეც არ გაჰყოლია. ბაზაზე დავრეკე, მითხრეს, ყიფიანი „ლეჩკომბინატის" 604-ე პალატაში წევსო.

საბედნიეროდ, საავადმყოფოში მისვლისას უკვე ფეხზე წამომდგარი დამხვდა. მშვენივრადაც გამოიყურებოდა, თუმცა კი წინა დღეებში გადატანილი გულის შეტევის კვალი მაინც ემჩნეოდა — დიდი ტკივილები გადაეტანა.

— პარასკევ დილით შეუძლოდ ვიგრძენი თავი და ამის გამო „ბერიკონში" წასვლაც გადავიფიქრე. — იხსენებს ბატონი დავითი. — მთელი დღე ასეთ მდგომარეობაში ვიყავი. შეტევა კი საღამოს დამეწყო — შვიდის ნახევარი იქნებოდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გულში ცული ჩამარტყესო — ინფარქტი მეგონა, ისეთი საშინელი ტკივილი ვიგრძენი. წარმომიდგენია, ინფარქტი რაღა იქნება — იგი ხომ, თურმე, ხუთჯერ მეტი ძალის ტკივილებს იწვევს.

საერთოდ, გულსა და წნევას არასოდეს შევუწუხებივარ, მაგრამ ეს შეტევა უმიზეზოდ არ მომსვლია — ძალიან ბევრს ვეწეოდი, ყოველდღე სამ კოლოფს. განსაკუთრებით თამაშის დღეს. მიუხედავად იმისა, რა დონის მეტოქეს ვეთამაშებოდი, მარტო თამაშის განმავლობაში ერთ კოლოფს ვაცარიელებდი. პარასკევის შემდეგ კი, წარმოიდგინეთ, რომ ასეთმა ინტენსიურმა მწეველმა სულ ორი-სამი ღერი მოვწიე. ექიმის რჩევას — ერთბაშად სიგარეტს ნუ გადააგდებ, ნელ-ნელა გადაეჩვიეო, ყურსაც არ ვუგდებ. სიგარეტისკენ საერთოდ აღარ მინდა გახედვა, ფაქტიურად, მოწევის სურვილი გამიქრა..."

...ბატონი დავითი სვენებ-სვენებით საუბრობდა. აშკარა იყო, პარასკევის ამბავს რომ განიცდიდა. ამ დროს პალატაში მორიგე ექიმი წნევის გასასინჯად შემოვიდა — გულის წნევა 60-ის ნიშნულთან გაჩერდა.

— ჩემთვის ეს არ არის კარგი მაჩვენებელი. საერთოდ, სპორტსმენებს სპეციფიკური წნევა აქვთ. წნევა, რომელიც, საერთოდ, ნორმალურად ითვლება — 120:80-ზე — ჩვენთვის ძალზე მაღალია.

...მორიგე ექიმი პალატიდან რომ გავიდა, ბატონმა დავითმა მთხოვა — აღნიშნე, რომ ამ საავადმყოფოში დიდებული ექიმები არიანო: „ღმერთმა ყველა დაიფაროს გულის ტკივილისაგან, მაგრამ თუ მაინც შეაწუხებთ, აქ მკურნალობას ვურჩევ. არა მგონია, საქართველოში მსგავსი დონის სამედიცინო მომსახურება არსებობდეს, ან პაციენტისადმი სითბოსა და ყურადღების გამოხატვა ამგვარად სხვაგანაც შეეძლოთ. დიდად მადლიერი ვარ კარდიოლოგიური განყოფილების გამგის, ბატონი მერაბ მამაცაშვილის — კარგი სპეციალისტი და ბრწყინვალე პიროვნებაა."

ფეხბურთზე მაინც ვისაუბრეთ. მთავარი მწვრთნელი კმაყოფილი იყო „ბათუმთან" დინამოელთა გამარჯვებით: „ბიჭები კარგად არიან მომზადებულნი და წესით, მოგება არ უნდა გაჭირვებოდათ"...

...ბატონი დავითისთვის ჯერ კიდევ არ შეიძლება დიდი დატვირთვები, საუბრის დროსაც ცოტათი დაიღალა და ამიტომ მეტად აღარ შევაწუხე, დავემშვიდობე და ახლა კარდიოლოგიის განყოფილების გამგე მერაბ მამაცაშვილს, ვინც ასეთი მადლიერი სიტყვებით მოიხსენია 604-ე პალატის დროებითმა ბინადარმა, მივაკითხე.

— „ბატონ დავითს პარასკევ ღამეს სტენოკარდიული შეტევა დაეწყო, რაც, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო გულის მკვებავი არტერიების დისფუნქციასთან. ამის საფუძველზე ადამიანს უვითარდება ტკივილები და ესაჭიროება სასწრაფო მკურნალობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფობა შეიძლება განვითარდეს და ინფარქტში გადაიზარდოს. მაგრამ ეს მცირე შეტევა იყო და შემიძლია ვთქვა, რომ საშიში ახლა არაფერია. ამჟამად პაციენტის მდგომარეობა და გულის მუშაობა სავსებით ნორმალურია.

ამ შეტევის მიზეზად ბევრი რამ შეიძლება დავასახელოთ. ერთბაშად და შემთხვევით არაფერი ხდება. ამის მიზეზი სპორტული მოღვაწეობის დროს მიღებული სტრესები, აქტიურ სპორტთან ჩამოშორებით გამოწვეული ფიზიკური გადახრები და სიგარეტის უზომოდ წევა გახლავთ. სიგარეტი უნდა დაივიწყოს, თორემ შეტევა ისევ განმეორდება. ეს ნელ-ნელა და თანდათან უნდა მოხდეს, თორემ შესაძლოა გადახრებიც გამოიწვიოს.

ბატონი დავითის თხოვნით ჩვენ იგი ადრე — 2 აპრილს გავწერეთ (ჩვენი საუბარიც 2 აპრილს დილით შედგა). 3 აპრილს იმართება რაღაც მნიშვნელოვანი თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწროს. ჩვენც იძულებული გავხდით გაგვეწერა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ჩვენი ყურადღება მოაკლდება. სანამ ბოლომდე არ მომჯობინდება, თბილისის „დინამოს" მწვრთნელი ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ იქნება."

მერაბ მამულაშვილი

## პირველი ჯგუფი

XIX ტური

### მარგვეთი 3-0 ივერია

მარგვეთი: გვენცაძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, გაბრიჭიძე, ლანჩავა (მაღლაკელიძე 65), მორგოშია, კაკუბავა (თხელიძე 80), უკლება, ქებაძე, კიკნაძე (ჩხეტია 67), ენდელაძე

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ი. ბუხრიკიძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (ვეშაპიძე 60), ვ. ბუხრიკიძე, ჩიბაშვილი (ზირაქაძე 58), ტყემალაძე, კაციაშვილი, გლუნჩაძე (ლომიძე 30)

1:0 ქებაძე (25) 2:0 ენდელაძე (28) 3:0 ქებაძე (73)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### ტორპედო 1-0 დურუჯი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, სადილიანი, გიორგობიანი, ჯინჭარაძე, ჩხეტიანი, მეგრელაძე, შენგელია, ვაჩიბერაძე

დურუჯი: სომხიშვილი, ვარადაშვილი, ოსაძე, ცინცაძე (დავითაშვილი 81), მოსიაშვილი (ოსეფაშვილი 46), ყანჩაშვილი, ბოჭორიშვილი, კობიაშვილი, ქარენაშვილი, ყიზილაშვილი, ნინრიაშვილი (კუპრაშვილი 84)

1:0 შენგელია

მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

# „უჰრუბეშო" ღუდუშაურები

ქართველი ლეგიონერების შესახებ ახალი ამბების შესატყობად ხშირად მიწევს მათ ოჯახებში სტუმრობა. ჰოდა, ამ საიარულში, მგონი, გიორგი ღუდუშაურის ოჯახის წევრები უფრო კარგად გავიცანი, ვიდრე თავად გიორგი და ისეთი რამ გავიგე, რამაც თავად მიკარნახა თემა გაზეთისათვის — „ჰრუბეშას" (გიორგის მეტსახელია) ნამდვილი სპორტული ოჯახი ჰყოლია: მამა — ბატონი ვოვა ღუდუშაური, ძველი ტანმოვარჯიშე და საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი გახლავთ, ძმა ვასიკო კი ყოფილი მორაგბე. მე იმის სურვილი უფრო მქონდა, მათ საკუთარ მიღწევებზე და არა მარტო ამაზე, სხვა საინტერესო საკითხებზეც ესაუბრათ, მაგრამ ჩვენი



ჰრუბეშა მამასთან ერთად

საუბარი ისე წარიმართა, რომ ფაქტიურად სულ გიორგიზე მომითხრეს. ოჯახის წევრების ნაამბობმა საშუალება მოგვცა უფრო ახლოს გაგვეცნო „ჰრუბეშა" ოჯახურ გარემოში და არა მოედანზე, ესე იგი იქ, სადაც მას უცხო თვალი ვერ ხედავს. მოდით, ჯერ ოჯახის წევრების გაცნობით დავიწყოთ.

ბატონი ვოვა ღუდუშაური, თურმე, ოთხი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ყოფილა, თორმეტი წელი კი — საქართველოს ახალგაზრდულისა. „კარგად მახსოვს 1963 წელი, სტალინგრადში აბსოლუტური პირველობა მხოლოდ სახელგანთქმულ მიშა ვორონინს დავუთმე, ორ იარაღზე მაინც მოვახერხე ოქროს მედლის მოპოვება", იხსენებს ბატონი ვოვა.

ვასიკომ კი სპორტის ბევრი სახეობა მოსინჯა და ბოლოს რაგბი აირჩია.

„გამოვდიოდი თბილისის „სპარტაკში", რომელსაც ცნობილი სპეციალისტი ბათუ კევლიშვილი ავარჯიშებდა. მისი ხელმძღვანელობით საზოგადოება „სპარტაკის" საკავშირო ტურნირზე ორჯერ გავიმარჯვეთ. სხვათაშორის, ძლიერი დარტყმა მქონდა, რის გამოც „იასონა" შემარქვეს. სკოლის შემდეგ ჯარში წავედი, გუნდიც დაიშალა და მეც სპორტს ჩამოვშორდი".

აი, ასეთი სურათი დამხვდა ღუდუშაურებთან. მამა ყოფილი ტანმოვარჯიშეა, უფროსი ვაჟიშვილი ყოფილი მორაგბე, უმცროსი კი — ფეხბურთელი და საქართველოს ნაკრების წევრი. „მაგრამ ჩემი სიყვარული იყო და არის ფეხბურთი, რომელსაც ჩემი სურვილით გაჰყვა გიორგი. ტანმოვარჯიშე კი შემთხვევით გავხდი. მამიდაშვილი მყავს, ირაკლი ბალიაური, თავის დროზე ძლიერი ტანმოვარჯიშე იყო, საქართველოს ნაკრებში ირიცხებოდა. მისი მიმბაძველობითა და ტანვარჯიშზე გაუთავებელი საუბრის შემდეგ მეც გადავწყვიტე სპორტის ამ სახეობისთვის ხელი მომეკიდა. ვასიკომ თავისით აირჩია რაგბი, საერთოდ, „ფრენია" სპორტსმენი იყო, სერიოზულად ვერც ერთ სპორტს ვერ გაჰყვა. გიორგი თავიდან ცურვაზე დადიოდა. ცურვა ჯანს მატებსო — მეც ავდექი და მივიყვანე. მას შემდეგ კი მხოლოდ ფეხბურთითაა დაკავებული. მე გვერდიდან არ ვშორდებოდი, სამსახურსაც კი ვაცდენდი.

თავიდანვე დამყოლი და შრომისმოყვარე ბავშვი იყო. ვარჯიში არ ეზარებოდა, პირიქით, ეხალისებოდა კიდეც".

ღუდუშაურები მეტრო „ნაძალადევთან" ცხოვრობენ. მათი საცხოვრებელი კორპუსის წინ ოთხმოციან წლებში ვლადიმერ გუცაევის სახელობის კლუბი დააარსეს და პატარა, მშვენიერი მოედანიც გამართეს. მაშინ ნამდვილი საფეხბურთო ბუმი იყო, უამრავი ცნობილი ფეხბურთელი დადიოდა იქ სათამაშოდ. ვასიკო იხსენებს: „ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, გურამ აჯოევი, გოჩა ტყებუჩავა და სხვა განთქმული ფეხბურთელები ჩვენი ეზოს ხშირი სტუმრები იყვნენ. ისეთი ბრძოლები ჩაღდებოდა, მათ ყურებას არაფერი სჯობდა. ნიძლავზე თამაშობდნენ და ჩვენც, ბავშვებს მეტი რა გვინდოდა. ბუნებრივია, მათი მიბაძვის სურვილი გვიჩნდებოდა და ჩვენც საღამომდე ბურთს დავდევდით. სამწუხაროდ, ის სტადიონი კარგა ხანია დაანგრიეს და ყველას გული დაგვწყდა. ვინ იცის, იქ კიდევ რამდენი ფეხბურთელი გაიზრდებოდა".

„გიორგი თავიდანვე გვაოცებდა შეუპოვრობით, უშიშარი ბავშვიც იყო, — საუბრის თემა შეცვალა ბატონმა ვოვამ. — რაც არ უნდა მტკივნეულად წაქცეულიყო, თავიც რომ გაეტეხა ან ფეხი დაეშავებინა, მაინც წამოდგებოდა და გაიცინებდა. საერთოდ, ყოველთვის იცინოდა — ბურთს რომ დასდევდა, მაშინაც კი. თავდაპირველად „ავაზაში" შევიყვანე, სერგო ალიხანოვი ავარჯიშებდა. ცოტა ხნის შემდეგ მისი მომავლით დაინტერესებულმა სერგოს მივაკითხე — თუ ძმა ხარ, მითხარი, გიორგისგან თუ გამოვა რამე-მეთქი. დაფიქრებულმა მიპასუხა — ძალიან ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს — რატომღაც სულ იცინისო. ამის გამო ოჯახში „კრეჭიას" ვეძახდით".

„კრეჭია" ოჯახური მეტსახელია, ისე გიორგი ღუდუშაურს უფრო „ჰრუბეშათი" იცნობენ, თუ რატომ, ამის შესახებაც მოგვითხრო ბატონმა ვოვამ: „თუ გახსოვთ, 1983 წლის მარტში თბილისში კიევის „დინამო" „ჰამბურგს" ხვდებოდა. მაშინ გერმანელთა გუნდში ცნობილი თავდამსხმელი ჰორსტ ჰრუბეში თამაშობდა. როგორც ვთქვი, თამაში ზამთარში შედგა და თბილისში საკმაოდ ციოდა, რის გამოც გერმანელს თავზე თბილი სპორტული ქუდი ეხურა. „ჰამბურგის" ვარჯიშს ერთი ჩვენი კარგი მეზობელი შალვა ბაძგარაძე დაესწრო, რომელსაც ვარჯიშის შემდეგ ჰრუბეშმა თავისი ქუდი აჩუქა, შალვამ კი იგი გიორგის მისცა. მას შემდეგ გიორგი ქუდს თავიდან არ იშორებდა, ძილის დროსაც კი ეხურა. ამის გამო შეარქვეს „ჰრუბეშა" და ეს მეტსახელი დღემდე შემორჩა".

... „პირველი მერცხალიდან" გახსოვთ, ალბათ, ქალბატონი ფაცია — იასონის მეუღლე. ფეხბურთელი ქმრის და მამის კვალზე დამდგარი შვილის გამო დასანახად რომ ვერ იტანს ფეხბურთს. რატომღაც ასეთი წარმოდგენა მქონდა ფეხბურთელთა ოჯახის წევრ ქალთა დამოკიდებულებაზე ფეხბურთის მიმართ. ამ შემთხვევაში კი, თურმე, ვცდებოდი. ქალბატონ ნათელას, გიორგის დედას, ფეხბურთის სიძულვილისა ვერაფერი შევნიშნე:

„ვერ ვიტყვი, რომ ფეხბურთი არ მიყვარს, ის ხომ ჩემს შვილს აინტერესებს, მაგრამ გამორჩეულად ნამდვილად არ მიყვარს. ეგაა, რომ ჩემი გიორგისა და მისი მეგობრების ხათრით ხშირად ვუყურებ მათ თამაშებს. განსაკუთრებით გიორგის ძმაკაცებს — ანჩაბაძესა და ქინქლაძეს ვქომაგობ".

გიორგი ზალმროორში მარტო ცხოვრობს და, როგორც მშობლებმა მითხრეს, ძალიან განიცდის მარტოობას.

„ყოველი დარეკვისას გვთხოვდა და გვიმეორებდა, იქნებ მოახერხოთ და ჩამოხვიდეთო. გარდა იმისა, რომ ოჯახს მოწყვეტილია, მის დასახლებაშიც არ არიან ქართველები და სხვა რა გზა გვქონდა, ჩავაკითხეთ, თანაც ძალიან მოგვენატრა. — გვიამბობს ბატონი ვოვა — სამი თვე დავყავით მე და ჩემმა მეუღლემ გერმანიაში და ამ ხნის განმავლობაში გიოს ერთი თამაშიც კი არ გამიცდენია. თამაში კი არა, ერთადაც კი ვვარჯიშობდით, ისე რომ, ერთი კვირის თავზე წონაში საკმაოდ დავიკელი. ძველი სპორტსმენი კი ვარ, მაგრამ გიორგის დატვირთვებს ერთი კვირის მეტი ვეღარ გავუძელი. მოკლედ, გერმანიაში ახალგაზრდობა გავიხსენე. ჩვენმა იქ ყოფნამ გიორგი მეტად გაახალისა, თამაშებს და ვარჯიშებსაც მეტი გულისყურით ეკიდებოდა".

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ პერიოდში გიორგის ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც მოეხსნა — სახლში მისულს თვითონ აღარ უხდებოდა სადილის კეთება.

„სხვათაშორის, კვების მხრივ გიორგი არ არის პრეტენზიული, — ამბობს ქალბატონი ნათელა. ამ ბოლო დროს, მითუმეტეს ახლახანს, ნაკრებში რომ იყო გამოძახებული კვიპროსთან სათამაშოდ, გვიან ღამით ჩამოფრინდა გერმანიიდან, მაგრამ საჭმელისთვის პირი არ დაუკარებია, ეტყობა, წონის მომატებას ერიდება. ჭამა არ უყვარსო, მასზე არ ითქმის, მაგრამ კუჭზე გადაყოლილი არ არის.

გერმანიაში თითქოს არაფერი უჭირს, მაგრამ დედის ხელი მაინც აკლია. თანაც [illegible] კიდევ კარგი, იქ კვების პრობლემა არა აქვს და თავს თვითონ უვლის".

საუბრისას გიორგის მშობლები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს იმას, რომ გიორგის ძლიერ ენატრება ოჯახი, ნათესავები, მეგობრები, რის გამოც ხშირად რეკავს სახლში, ტრაბზონში — ტყუპებთან, მანჩესტერში — ქინქლაძესთან, ჰომბურგში — იქაც ხომ ქართველები თამაშობენ.

„მეგობრებზე არის გადამკვდარი. ჩამოსვლისთანავე, სახლში შემოვა თუ არა, ხელჩანთას დააგდებს და ღამის პირველი საათიც რომ იყოს, მეგობრებს დაურეკავს. დილითაც ბაზაზე გავარდება და დარჩენილებს მოინახულებს, — ამბობს ვასიკო. — თბილისში ძნელია მაგის სახლში გამოჭერა".

„ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის: გერმანიას ვერ შევეჩვიე, ნეტავ ერთი ქართველი მაინც მყავდეს გვერდშიო. ამის გამო თავისი შემოსავლის ნახევარს მგონი რეკვაში ხარჯავს".

„ეს არც მიკვირს, — ამბობს ვასიკო — ჰომბურგელ ქართველებს ეს პრობლემა არ აწუხებთ — სამნი არიან ერთად და თავს როგორმე გაიტანენ. გიომ იკითხოს, ერთადერთი, რაც მეგობრებისა და ახლობლების მონატრებას უქარვებს, ტელეფონით საუბარია".

ბატონი ვოვას თქმით, „ვარჯიშიდან სახლში მისული გიორგი წამსვე მეგობრებს ურეკავს. ასე მეორდება ყოველდღე. ბავშობიდან მეგობრობდა ანჩაბაძესთან, ქინქლაძესთან, დათო გოდერძიშვილთან, ყველას ვერც ჩამოთვლი, დიდი სამეგობრო ჰყავს".

ნაკრებში მიწვევის შემდეგ ძლიერ შეიცვალაო, — ესეც აღნიშნა ბატონმა ვოვამ. — „ახლა დიდი სტიმული გაუჩნდა, საკუთარ თავსაც მეტს სთხოვს. მეჩვენება, რომ მას შემდეგ უფრო დაკაცდა კიდეც, აზროვნებითაც, ქცევითაც. საერთოდ, ყოველი შეხვედრის წინ ძლიერ ნერვიულობს და ფიქრით სულ მომავალ შეხვედრას დასტრიალებს. დაბალპრესტიჟულ ლიგაში რომ თამაშობს, ამასაც ძლიერ განიცდის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ნაკრების წევრია. ახლაც, კვიპროსთან თამაშამდე რომ ჩამოფრინდა, ერთი და იმავეს იმეორებდა, ისე უნდა ვითამაშო, რომ რომელიმე ძლიერ გუნდში გადავიდეო. „ზალმროორთან" გამოუცდელობის გამო საკმაოდ დიდი ხნით — ორწელნახევრით მოაწერა ხელი. ეს რომ არა, აქამდე გადავიდოდა სხვაგან. საერთოდ, მას გერმანულ ფეხბურთთან შეგუება არ გაძნელებია, წასვლისას ელგუჯა გუგუშვილმა კარგად მოამზადა და ხშირად აღნიშნავს ამას".

„გერმანიაში წასვლამდე თურქეთშიც იყო გასინჯვაზე, ზუსტად არ მახსოვს, რომელ გუნდში. ეს იმ დროს, როცა თურქეთში სატრანსფერო სეზონი უკვე დასრულებული იყო და იქ ჩასულს ბუციც არ მოურგია, ერთი ვარჯიშიც არ ჩაუტარებია. გაგიჟებული დაბრუნდა, ვერ გაიგო, რისთვის ჩაიყვანეს, — გვეუბნება ვასიკო. — ამის შემდეგ გერმანიაში გადასვლა გადაწყვიტა, ბილეთიც აიღო და სწორედ მაშინ ლუგანსკის „ზარიაში" შესთავაზეს თამაში, საკმაოდ კარგი პირობებით. გიორგიმ უარი თქვა, ესენგეს ქვეყნებში არ სურდა".

ბუნებრივია, ახლა არც რეგიონალურ ლიგაში დარჩენა სურს. გუნდის შეცვლასაც აპირებს, მაგრამ როდის და სად გადავა, ჯერ არ გადაუწყვეტია. იმედია, გიორგისა და მისი ოჯახის სურვილი მალე ახდება.

მერაბ მამულაშვილი



ზალმრორელი ღუდუშაური შეტევაში

## მეორე ჯგუფი

მეორე ჯგუფის ორივე დივიზიონში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. აღმოსავლეთში ლიდერთაგან „დინამო-2" ისვენებდა, ხოლო „მერანი-91"-მა და პოლიციელთა „აკადემიამ" მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს. ტურის ცენტრალური თამაში „სინათლის" სტადიონზე გაიმართა, სადაც „მერანი-91" „მორკინალს" მასპინძლობდა. საინტერესო და დაძაბული შეხვედრა მერანელთა გამარჯვებით დასრულდა. ძაგანიას (მე-4 წუთი) და მაზანაშვილის (42-ე წუთი) გოლებს სტუმრებმა ვერაფრით უპასუხეს. აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა შემადგენლობაში ტრავმების გამო არც ერთი მცველი არ თამაშობდა, ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობამ ამ ადგილზე შუა ხაზის მოთამაშეები გაამწესა, და, როგორც შედეგიდან ჩანს, არც შემცდარა.

„აკადემიამ" „ჭაბუკიანი" მიიღო და დიდი ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა. ამ გამარჯვების შემდეგ პოლიციელები ლიდერს ისევ ერთი ქულით ჩამორჩებიან. კვლავ დამარცხდნენ დივიზიონის აუტსაიდერები: ბორჯომის „თორი" და ახალციხის „მესხეთი". პირველმა მარნეულში 3:1 წააგო, ხოლო მეორემ — მცხეთაში 2:1. აღსანიშნავია „მრეტების" კატასტროფული ანგარიშით დამარცხება, მათ „უნივერსიტეტთან" შეხვედრაში 10 გოლი გაუშვეს, თავად კი ვერც ერთხელ ვერ იხეირეს.

ანალოგიური სიტუაცია განმეორდა დასავლეთშიც. პირველი ჯგუფის ერთადერთი საგზურის ორმა მაძიებელმა, აბაშის „ანჯელმა" და წყალტუბოს „სამგურალმა" აუტსაიდერები — ჩოხატაურის „ბახმარო" და საჩხერის „ჩიხურა" გამოიჭირა: პირველმა შინ 5:2 გაიმარჯვა, ხოლო მეორემ სტუმრად იყოჩაღა და 4:1 მოიგო.

ორივე დივიზიონში ისევ დაძაბული და გაურკვეველი მდგომარეობაა. ჯერჯერობით ძნელია იმ ორი გუნდის გამოცნობა, რომელიც შემდეგ სეზონში I ჯგუფში იასპარეზებს. თუ გათამაშების კალენდარსაც გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დაძაბულობა სეზონის ბოლომდე შენარჩუნდება.

აღმოსავლეთი
XXI ტური

ალგეთი — მესხეთი 3-1
არმაზი — თორი 2-1
კოდაკო — ასკ 0-7
აკადემია — ჭაბუკიანი 3-0
ცხინვალი — შირაქი 3-1
ენერგეტიკოსი — აზოტი 1-2
უნივერსიტეტი — მრეტები 10-0
ყინერი — იბერია 2-2
მერანი-91 — მორკინალი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი 91 | 21 | 15 | 3 | 3 | 57-11 | 48 |
| აკადემია | 21 | 15 | 2 | 4 | 37-20 | 47 |
| დინამო 2 | 20 | 13 | 3 | 4 | 44-14 | 42 |
| აზოტი | 21 | 11 | 6 | 4 | 37-18 | 39 |
| მორკინალი | 21 | 11 | 5 | 5 | 31-18 | 38 |
| არმაზი | 20 | 10 | 7 | 3 | 26-12 | 37 |
| ჭაბუკიანი | 21 | 11 | 2 | 8 | 51-37 | 35 |
| უნივერსიტეტი | 20 | 10 | 3 | 7 | 38-24 | 33 |
| ალგეთი | 21 | 9 | 4 | 8 | 29-31 | 31 |
| ასკ | 21 | 9 | 4 | 8 | 32-26 | 31 |
| იბერია | 21 | 9 | 1 | 11 | 28-32 | 28 |
| ენერგეტიკოსი | 21 | 8 | 4 | 9 | 31-31 | 28 |
| ცხინვალი | 21 | 5 | 6 | 10 | 20-24 | 21 |
| შირაქი | 21 | 5 | 6 | 10 | 21-42 | 21 |
| მრეტები | 21 | 5 | 5 | 11 | 18-35 | 20 |
| ყინერი | 21 | 5 | 4 | 12 | 21-49 | 19 |
| კოდაკო | 21 | 4 | 6 | 11 | 24-50 | 18 |
| თორი | 21 | 2 | 4 | 15 | 17-44 | 10 |
| მესხეთი | 21 | 2 | 3 | 16 | 16-20 | 9 |

დასავლეთი
XXIII ტური

მამისონი — მეშახტე 1-3
ჩიხურა — სამგურალი 1-4
ჩხერიმელა — სულორი 0-2
ანჯელი — ბახმარო 5-2
მუქურა — იმერეთი 1-0
საპოვნელა — იაგუარი 0-0
კოლხეთი 2 — სქური 3-1
რწმენა — მერცხალი 8-0
დინამო 2 — სამგურალი 4-2
მარგვეთი 2 — მალაროელი 0-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანჯელი | 22 | 20 | 0 | 2 | 63-16 | 60 |
| სამგურალი | 22 | 19 | 2 | 1 | 69-18 | 59 |
| მუქურა | 22 | 18 | 3 | 1 | 73-19 | 57 |
| მალაროელი | 22 | 18 | 1 | 3 | 54-20 | 55 |
| იაგუარი | 22 | 15 | 1 | 6 | 44-27 | 46 |
| სულორი | 22 | 14 | 1 | 7 | 44-28 | 43 |
| მერცხალი | 22 | 9 | 7 | 6 | 28-27 | 34 |
| რწმენა | 22 | 10 | 2 | 10 | 44-31 | 32 |
| იმერეთი | 22 | 9 | 3 | 10 | 33-30 | 30 |
| მამისონი | 22 | 9 | 2 | 11 | 37-41 | 29 |
| კოლხეთი 2 | 22 | 8 | 4 | 10 | 29-28 | 28 |
| საპოვნელა | 22 | 7 | 5 | 10 | 27-49 | 26 |
| დინამო 2 | 22 | 6 | 7 | 9 | 39-41 | 25 |
| სამეგრელო | 22 | 7 | 4 | 11 | 38-49 | 25 |
| მეშახტე | 22 | 6 | 3 | 13 | 35-39 | 21 |
| სქური | 22 | 6 | 2 | 14 | 28-46 | 20 |
| მარგვეთი 2 | 22 | 6 | 1 | 15 | 25-50 | 19 |
| ჩიხურა | 22 | 4 | 3 | 15 | 29-64 | 15 |
| ჩხერიმელა | 22 | 2 | 1 | 19 | 30-88 | 7 |
| ბახმარო | 22 | 0 | 2 | 20 | 22-80 | 2 |

# ქართული საფეხბურთო სათვისტომო

რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 15 ქართველი ფეხბურთელი თამაშობს და ყველანი თავიანთი გუნდების ლიდერები არიან. ის კი არა, რუსული სპორტული მედია ოდნავ მაინც ობიექტური რომ იყოს (რაშიც თავადაც არაერთხელ დავრწმუნებულვარ), თხუთმეტიდან ნახევარს მაინც მუდამ „სპორტ-ექსპრესის" ტურის სიმბოლურ ნაკრებში ექნებოდა ადგილი დაჯავშნული, მაგრამ ქართველებს მხოლოდ მაშინ სწყალობენ, როცა ათი თავით მაღლა დგას რუს კოლეგაზე. მეორე ლიგა ხომ ლამის წალეკონ ქართველმა ფეხბურთელებმა: რომელ გუნდში აღარ ნახავთ მათ.

ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი მწვრთნელი, რუსეთში რომ მოღვაწეობს, სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივის" თავკაცი გივი ნოდიაა. იგი წინა სეზონის დასაწყისში ჩაუდგა გუნდს სათავეში. პირველ ორ ტურში მარცხი იწვნია. მერე კი მისმა მუშაობამ შედეგი გამოიღო, ძმები კილასონიებიც შეეშველნენ და მეორე ლიგის დასავლურ ზონაში „ლოკომოტივმა" მეხუთე ადგილი დაიკავა ოცდაორ გუნდს შორის. ნოდია ახალი სეზონიდან აპირებდა პირველ ლიგაში გადასასვლელად ებრძოლა, მაგრამ მოულოდნელად პეტერბურგელთა პირველი ლიგის გუნდი — „სმენა — სატურნი" დაიშალა და I ლიგაში ადგილიც გამოჩნდა, ოღონდ ეგაა, „ლოკომოტივს" „სატურნიც" მიემატა სახელად.

„სარბიელი" შეძლებისდაგვარად გატყობინებდათ ჩვენებურ პეტერბურგელთა ამბავს. ახლაც გადავწყვიტეთ, ნოდიას სეზონისწინა მომზადებაზე გავსაუბრებოდით, მაგრამ მასთან რეკვისას ქალბატონი ირა, გივი ნოდიას მეუღლე მუდამ ასე მპასუხობდა: იტალიაშია... კვიპროსზეა... ახლახან წავიდა ვარჯიშზე... გუნდის ხელმძღვანელობასთანაა და ა. შ. ბოლოსდაბოლოს, „აიაქს" — „პანათინაიკოსის" ნახევარფინალურ მატჩის დროს შედგა ჩვენი სატელეფონო საუბარი...

**— ბატონო გივი, მორჩით წინასასეზონო შეკრებას?**

— ორიოდე დღეა სლოვაკეთიდან ჩამოვედით. ეს რიგით მესამე უცხოური შეკრება იყო. იანვარში იტალიაში ვიყავით ორი კვირით, თებერვალში კი ამდენივე ხნით — კვიპროსზე. შეკრებებმა კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით — კვიპროსულმა. რაც ჩაფიქრებული გვქონდა, თითქმის ყველაფერი დავხვეწეთ და დავამუშავეთ. ჩავატარეთ უამრავი საკონტროლო შეხვედრა, მაგრამ ეს ერთია და ოფიციალური თამაშები — სხვა. თანაც ახლა რანგით უფრო მაღალ დონეზე გვიწევს ასპარეზობა.

**— გუნდის ბირთვი შეინარჩუნეთ თუ „სატურნიდანაც" დაიმატეთ ვინმე?**

— „სატურნიდან" სამი ახალგაზრდა ფეხბურთელი დავიმატეთ, დანარჩენები ძველი ლოკომოტიველები გვყავს.

**— პირველი ლიგის საგზური ფაქტიურად უბრძოლველად მოიპოვეთ. წელს ხომ არ აპირებთ უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლას?**

— არა, წელს ეს გამორიცხულია. მე რეალურად ვაფასებ სიტუაციას. პირველი ლიგა გაცილებით ძლიერია მეორეზე და უმაღლესს ბევრად არაფრით ჩამოუვარდება. პირველი ლიგიდან აღზევებული გუნდები უმაღლესში სულაც არ ასრულებენ უკანასკნელ როლს. უმაღლესი ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდი სულ სხვაგვარად უნდა იყოს დაკომპლექტებული, იგი ამისთვის შემზადებული უნდა იყოს. წელს ჩვენი ამოცანა პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება იქნება, ხოლო ათეულში მოხვედრა ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმია. თუ უკეთეს შედეგს მივაღწევთ, ამას რაღა აჯობებს. მაგრამ ვარაუდი ვარაუდად, მთავარი მაინც ჩემპიონატის პირველი მატჩებია. ოფიციალურ თამაშებში უკვე ნათლად გამოჩნდება, რა შეგვიძლია. ერთი კი ნაღდია: ვინც არ უნდა იყოს ჩვენი მოწინააღმდეგე, ყველა მატჩში მოგებისთვის ვიბრძოლებთ.

**— ჩემპიონატი როდის იწყება?**

— ჩემპიონატი 7 აპრილს იწყება, მაგრამ ჩვენ ამ დღეს ვისვენებთ. პირველ ლიგაში ახლა 19 გუნდია და ყოველ ტურში თითო გუნდს უწევს დასვენება. ჩვენ იაროსლავლის „შინიკთან" ვართ წყვილში და მეორე ტურში სწორედ მათ ვხვდებით. მატჩის სანქტ-პეტერბურგში გაიმართება და ჩვენი სტარტიც ეს იქნება. შემდეგ ორი თამაში ისევ შინ გვიწევს, 16 და 19 აპრილს...

**— თამაშებს რომელ სტადიონზე ატარებთ?**

— კიროვის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. ერთი წლით ავიღეთ იჯარით. ამ სტადიონზე საბჭოთა კავშირის პირველობის დროს „ზენიტი" თამაშობდა. ოთხმოცი ათასამდე ადგილია, მინდორს ხელოვნური გათბობის სისტემა აქვს და ნებისმიერ ამინდში შეიძლება თამაში.

**— „ზენიტი" არ გავიწროვებთ?**

— არა, „ზენიტთან" საკმაოდ კარგი დამოკიდებულება გვაქვს. ზენიტელები თამაშს „პეტროვსკის" სტადიონზე ამჯობინებენ, ამიტომაც დაგვითმეს ცენტრალური სტადიონი. „ზენიტი" ახლა საკმაოდ ძლიერი გუნდია, პაველ სადირინის მოსვლამ მას თავისი კვალი დაატყო. თან, რაც არ უნდა იყოს, ქალაქის პირველ გუნდად ითვლება და მერიის დიდი ხელშეწყობა აქვს.

**— მაშ თქვენ დაუჩაგრიხართ...**

— სრულიადაც არა, ჩვენ ხომ საკმაოდ სოლიდური და ფინანსურად ყველაზე მყარი მეპატრონე გვყავს — რკინიგზა. ფინანსებით, ადმინისტრაციით, შეძლებით და პოტენციით რკინიგზა სახელმწიფოა სახელმწიფოში. ამიტომ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში გვაქვს.

**— ხალხი თუ ესწრება თქვენს მატჩებს?**

— ათას კაცამდე. ეს არცაა გასაკვირი: ქალაქის მეორე გუნდი მაინც მეორე გუნდია. ჩვენს თამაშებზე მაყურებელთა დასწრების მაქსიმუმი ალბათ 3-4 ათასი გულშემატკივარი იქნება.

**— ალბათ დროა, ჩვენს ქართველ პეტერბურგელებზეც ვთქვათ. კილასონიებს გუნდში მისვლის დღიდან ერთი მატჩიც არ უთამაშიათ უგოლოდ. რა ადგილზე ათამაშებთ ძმებს?**

— ვარლამს თავდასხმაში, გიორგის კი ნახევარდაცვის ცენტრში. ძმები, რომელ გუნდშიც არ უნდა თამაშობდნენ, ერთად დიდ ძალას წარმოადგენენ. ისინი გუნდის ლიდერები არიან და დიდი ავტორიტეტიც აქვთ.

**— ალექსანდრე ბურნაძე ახლახანს მოიწვიეთ „მეტალურგიდან". ის როგორღა შეეწყო გუნდს?**

— ბურნაძეს ტრავმა ჰქონდა, მერე გაუმიზეზდა. იტალიაში არა და, კვიპროსში უკვე ითამაშა. წინა ცენტრალურ მცველად ვათამაშებ. მისი იმედი ყოველთვის მქონდა და ვფიქრობ, არც ახლა შემარცხვენს.

**— რა ტაქტიკით თამაშობთ?**

— სამი ცენტრალური მცველი, მარცხნივ და მარჯვნივ სწრაფი და მოძრავი ფეხბურთელები მყავს, რომლებიც მთელ ზონას აკონტროლებენ. თავდასხმაში ხან ორი, ხანაც სამი ფეხბურთელი მყავს. აქედან გამომდინარე შუა ნახევარდაცვაში ხან ოთხი, ხანაც სამი ფეხბურთელია. ეს თანამედროვე და ევროპაში მიღებული სქემაა...

**— თავდასხმაში ერთი ვარლამ კილასონია გყავთ, მეორე კი, რამდენადაც მახსოვს — ყოფილი ზენიტელი გიგანტი, ორმეტრიანი დანილოვი, რომელსაც თავის დროზე თბილისის „დინამოსთვისაც" შეუგდია გოლები. ახლახანს კი შევიტყვე, რომ დანილოვს „ზენიტში" გადასვლა სურს და გუნდიდანაც წავიდაო.**

— რასაც რუსული პრესა წერს, ყველაფერი სიმართლე კი არ არის. გახსოვთ ამასწინანდელი ინტერვიუ ზაზა ჯანაშიასთან? თვალებს არ ვუჯერებდი, როცა ვკითხულობდი. რაც შეეხება დანილოვს, მეტად პრეტენზიული ადამიანი გამოდგა. მესამე შეკრებაზე იტალიაში არ წამოვიდა. თვითნებურად გადავიდა „ზენიტში" და ახლა იქ ვარჯიშობს. მთავარი მაინც ისაა, რომ ფინეთის ერთ-ერთ კლუბში უნდა გადასვლა და „ზენიტიდანაც" უწყობენ ხელს. კონტრაქტით ჩვენ გვეკუთვნის და როცა საჭიროდ ჩავთვლით, მაშინ დავაბრუნებთ.

**— ადრე რომ გესაუბრეთ, ვინმე ახალგაზრდა გრიგორიევს აქებდით, გამიმართლა, გოლებიც შეაგდო და მისი იმედი მაქვსო...**

— გრიგორიევი ერთ ადგილზე გაიყინა, ამიტომ ძირითადში ველარ ხვდება.

**— „ზენიტის" თამაშებს რომ ვუყურებ, ფეხბურთელები მეცოდება, მოყინულ მინდორზე ლამის სრიალ-სრიალით თამაშობენ. ახლა როგორაა საქმე, პეტერბურგში თუ მოვიდა გაზაფხული?**

— ცუდი ამინდები იყო, მაგრამ ახლა გამოიდარა. ვფიქრობ, იმ დროისთვის, ჩვენ რომ ჩემპიონატში ჩავებმებით, ამინდი საფეხბურთო იქნება.

**— თქვენი ვაჟი ალექსანდრე, ადრეც მითხარით, რუსეთის ერთ-ერთ უძველეს, ლამის ას წელიწადს მიღწეულ საფეხბურთო სკოლაში შეგიყვანიათ. ახლა იგი თოთხმეტი წლისაა. როგორ აფასებს ნოდია-უფროსი ნოდია-უმცროსს?**

— ძალზე სკეპტიკურად. ეს, ალბათ, სავსებით გასაგებია. მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი ვიქნები. არცერთ მამას, რომელსაც რაიმე სფეროში, განსაკუთრებით სპორტში, რაღაცისთვის მიუღწევია, არ სურს, რომ შვილმა მასზე ცუდად ითამაშოს. მამებზე უკეთ ერთეულებს უთამაშიათ. ჯერჯერობით ვერც საშკას ვატყობ რაღაც გამორჩეულს. საერთოდ კი მეტად მონდომებული ბიჭია. თქვენ რომ საფეხბურთო სკოლა ახსენეთ, „სპორტი" ჰქვია, ამასწინათ შე[illegible] ამის გამო დიდი ღონისძიებებიც ჰქონდათ, ბავშვთა შინ[illegible]ფეხბურთო ტურნირი[illegible] გამართეს [illegible] ერთ-ერთ მატჩში [illegible] კეთესო მოთამაშის ტიტულიც მოიპოვა. მის ფეხბურთელობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ერთი კია, მეტად მონდომებულია.

**— კონტრაქტით კიდევ რამდენი წლით ხართ დაკავშირებული „ლოკომოტივთან"?**

— ორი წლით. ადრე გითხარით, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი „ლოკომოტივის" ძლიერ გუნდად ქცევა და უმაღლეს ლიგაში გადასვლა იყო. წლევანდელი სეზონი, ასე ვთქვათ, პირველ ლიგასთან შეგუების სეზონი იქნება, მომდევნოში კი, კიდევ უფრო გაძლიერებულები, უკვე უმაღლესსაც შევუტევთ. თუ მიზანს მივაღწიეთ, მერე ვნახოთ...

**— თქვენი ბოლო სიტყვები მაფიქრებინებს, რომ კიდევ კარგა ხანს დარჩებით პეტერბურგში...**

— სწორედ გიფიქრიათ. პეტერბურგში მეტად კარგად მოვეწყვე. ქალაქი, მოგეხსენებათ, ლამის ღია მუზეუმია, აქაურებიც საკმაო სითბოთი გამოირჩევიან. სამეგობრო წრეც დიდი მყავს, ფეხბურთში თავის დროზე რაღაცა გამიკეთებია და პატივს მცემენ. გუნდის ხელმძღვანელობასაც სჯერა ჩემი და ჩემი მუშაობითაც კმაყოფილია. თავს გუნდშიც კარგად ვგრძნობ, მეგობრული კოლექტივია, რაც ყველაზე მთავარია, მე, კილასონიებმა და ბურნაძემ ჩვენი ოჯახებით ნევისპირა ქალაქში ერთგვარი პატარა ქართული სათვისტომო შევქმენით, მეზობლად ვცხოვრობთ და ნოსტალგია საქართველოზე ფაქტიურად აღარ გვაწუხებს. ნაღდი ქართული სათვისტომო, პეტერბურგში რომ ფუნქციონირებს, მუდამ მხარში გვიდგას, ეს ხალხი აქ მართლა ქართულ საქმეს აკეთებს. მოკლედ, სანქტ-პეტერბურგში პატარა საქართველოა. ოჯახიც უკმაყოფილო არ მყავს — ბავშვები სკოლაში დადიან, უცებ მიეჩვივნენ და საკმაოდ კარგად სწავლობენ. მეუღლეც ოჯახში ფუსფუსებს. ყველაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ ფეხბურთს ვემსახურები, თქვენთან საუბარში ადრეც ყოველთვის ვუსვამდი ხაზს, რომ ჩემი საქმე უზომოდ მიყვარს და მწვრთნელობის გარდა ჩემი თავი სხვა ამპლუაში ვერც წარმომიდგენია. აქ კი ყველა პირობაა იმისათვის, რომ იმუშაო, მარტო ფეხბურთზე იფიქრო. მოკლედ, კარგა ხანს შევრჩები ალბათ პეტერბურგს...

ერთი დიდი თხოვნა მაქვს: თქვენს გაზეთს მუდამ საუკეთესოდ ვთვლიდი, მისი მეშვეობით ქართული ფეხბურთის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ვიღებ. თუ მოახერხებთ, იქნება, დროგამოშვებით გამომიგზავნოთ, ან ვინმეს გამოატანოთ. ბიჭები შინიდან მუდამ გაზეთებით დახუნძლულები ბრუნდებიან ხოლმე. და კიდევ ერთი: ყველა მომიკითხე, ვისაც გივი ნოდია ახსოვს — მერაბ ჟორდანია, მთელი „დინამო". მე არავინ დამვიწყებია...

მამუკა კვარაცხელია

## პრეზიდენტების შეხვედრა

20 მარტიდან ზუგდიდის „დინამოს" საფეხბურთო კლუბს ახალი პრეზიდენტი ჰყავს: მოქალაქეთა კავშირის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის ლიდერი, ქვეყნის პარლამენტის დეპუტატი, 30 წლის ბეჟან გუნავა. გუშინწინ ზუგდიდელ ფეხბურთელთა ახალი თავკაცი ნოდარ ახალკაცს ეწვია და მასთან ერთსაათიანი საუბარი გამართა.

## ცხადაძე «აინტრახტში» რჩება?

გაზეთ „შანსი ფეხბურთისთვის" მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა განაცხადა, რომ „აინტრახტში" მწვრთნელ დრაგოსლავ სტეპანოვიჩის დაბრუნების გამო, შესაძლოა, თავადაც დარჩეს გერმანულ კლუბში, თუმცა ინგლისში კახის გადასვლა დღის წესრიგიდან ჯერ არ მოხსნილა. ცხადაძის თქმით, „ლიდსის" გარდა მისით დაინტერესებულნი „არსენალი", „ლივერპული" და „ასტონ ვილა" ყოფილან.

## «სიონს» წაგებას ჩაუთვლიან, თუმცა არ დააჯარიმებენ. (ალბათ)

XIX ტურის გასვლით მატჩში „სიონი" რომ ზუგდიდში სათამაშოდ არ ჩავიდა, უკვე გაუწყეთ. ბოლნისელებს გზაში ავტობუსი გაუფუჭდათო — ესეც სიმართლე გამოდგა. ბოლნისის გუნდთან ერთად, თურმე, თამაშზე მივლინებული მსაჯები და ფედერაციის თანამშრომლებიც მგზავრობდნენ, რომლებმაც გავრცელებული ვერსია დაადასტურეს. მართალია, ფედერაციას ჯერ განაჩენი არ გამოუცხადებია, მაგრამ, დებულების თანახმად, „სიონს" წაგებას ჩაუთვლიან, თუმცა, ბოლნისელების მიმართ მიღებული სანქციები ალბათ ამით ამოიწურება და გამოუცხადებლობისთვის ჯარიმას არ გადაახდევინებენ, რადგან სიმულაციას ადგილი არ ჰქონია.


საააგენტო «მინერვა»

მოგვმართეთ და თქვენს წინაშე ხელისგულივით გადაიშლება მთელი მსოფლიო.

— მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;
— ბილეთები ავია-რეისებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით;
— მყარი, შეუვალი გარანტიები და რაც მთავარია — მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასები.

ყველაფერი ეს — ჩვენთან!

მისამართი: კინოთეატრი „რუსთაველი", ცენტრალური შესასვლელი.
ტელ: 93-22-53

# ასეც ხდება, ისეც ხდება

## ჩემპიონთა თასი

### პირველი ნახევარფინალური შეხვედრები
### 3 აპრილი

### აიაქსი 0:1 პანათინაიკოსი

აიაქსი: ვან დერ სარი, რაიციგერი, ბლინდი, ფ. დე ბური, ბოგარდი, ლიტმანენი (მუსამპა 72), ფინიდი, დავიდსი, კანუ, კლუივერტი, რ. დე ბური

პანათინაკოსი: ვანძიკი, აპოსტოლაკისი, უზუნიდისი, გეორგიუს ს. გეორგიადისი, კალიძაკისი, კოლიციდაკისი, ბორელი (მარკოსი 83), კაპურანისი, ვარჟიხა (ნიობლიასი 90), მარაგოსი (გეორგიუს პ. გეორგიადისი 62), დონისი

გოლი: ვარჟიხა (86)

**მატჩამდე**

შაბათს „აიაქსმა" ჰოლანდიის ჩემპიონატში „როდასთან" სტუმრად 0:2 წააგო. ამსტერდამელებს რვა წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ. მათი უმრავლესობა ლუის ვან გაალმა განზრახ არ ათამაშა. ზოგმა მცირე ტრავმა მოიშუშა, ზოგმაც უბრალოდ დაისვენა. არ მინდა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის წინ გავრისკოო, ამბობდა მწვრთნელი.

ვან გაალს „პანათინაიკოსთან" თამაში ასე ჰქონდა წარმოდგენილი: ბერძნები მოედნის შუაწელს შეესეოდნენ, წინ კი ერთ თავდამსხმელს განაწესებდნენ. „ძნელი თამაში გველის. პირველი გოლის გატანა გაგვიჭირდება. ამას სწრაფად ალბათ ვერ მოვახერხებთ, მაგრამ თუ შევძელით, მერე ყველაფერი რიგზე იქნება". — ხმამაღლა ფიქრობდა იგი.

„აიაქსს" ევროთასებზე ზედიზედ 19 შეხვედრაში არ წაეგო. ბოლოს, 1994 წლის 16 მარტს „პარმასთან" დამარცხდა. საერთოდ, კი ნახევარფინალებში ექვსჯერ იყო გასული. ამ ეტაპზე ერთადერთხელ, 1980 წელს „ნოტინგემ ფორესტთან" მოეცარა ხელი — 1:2.

1971 წელს, ჩემპიონთა თასი რომ მოიპოვა, ამსტერდამის გუნდმა „უემბლიზე", ფინალში, სწორედ „პანათინაიკოსს" სძლია 2:0.

— ვიცით რომ მსოფლიოს უძლიერეს გუნდს ვხვდებით, მაგრამ რაკილა ისტორიამ კვლავ დაგვაპირისპირა, არც შურისძიებას გამოვრიცხავ — ბრძანებდა ბერძენთა არგენტინელი მწვრთნელი რამონ როჩა.

„პანათინაიკოსს" მეორე ფორვარდი ალექსის ალექსუდისი დაუშავდა. მან მუხლი გაიტეხა და სეზონში საფეხბურთოდ აღარ ვარგა. გეორგ დონისის სანახავად კი ამსტერდამს „მანჩესტერ იუნაიტედის" ემისრები ჩავიდნენ. ბერძენი ინგლისურ გუნდს 3,8 მილიონ დოლარად მიჰყავს.

**მატჩი**

პირველმა იარი ლიტმანენმა დაარტყა. შემდეგ ისევ მასპინძლებს ჰქონდათ მომენტი, სტუმრებს კი მე-15 წუთამდე ხეირიანად შეტევა არც უფიქრიათ. მე-15-ზე კაპურანისმა ააცილა. ბერძნები უპირატესად თავდაცვაზე ფიქრობენ. მათ მშვენივრად გაეაზრებინათ, როგორ არ უნდა გაატანინონ მრისხანე მეტოქეს და თანმიმდევრულად, გონივრულად უქმნიდნენ ბარიერებს. მართალია ჰოლანდიელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ და ბურთიც უმეტესად მათი იყო, მაგრამ სტუმრები აქა-იქ კონტრჩხვლეტასაც უბედავდნენ. თვალშისაცემი იყო დონისის თამაში. აქტიურობდა ნახევარმცველი ხუან ხოსე ბორელიც.

მეორე ტაიმში მასპინძელთა მონდომებამ იმატა, თუმცა უშედეგოდ. სტუმრების სწრაფი კონტრშეტევები კი უფრო სახიფათო გახდა. გეორგის გეორგიადისი უმცროსი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვან დერ სარმა ივარგა. მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კი „პანათინაიკოსის" პოლონელმა ფორვარდმა კშიშტოფ ვარჟიხამ, დონისის პასით ვან დერ სარს რომ დაუპირისპირდა, მეკარე აღარ გააჩერა.

**მატჩის შემდეგ**

„აიაქსის" კაპიტანმა დენი ბლინდმა წაგება ვაჟკაცურად გადაიტანა: „ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ, მაგრამ... იქ ძნელი შეხვედრა გველის".

იქ, ათენში კი ქალაქი ყირაზე დადგა. „პანათინაიკოსის" და საბერძნეთის დროშებმა ქუჩები ჩაძირა. მანქანის საყვირმა ლამის ღრუბლები გაფანტა. ათენის მერმა დიმიტრის ავრამოპულოსმა ყველა პროჟექტორი აანთებინა. გაბრდღვიალდნენ პროჟექტორები და ისტორიული ძეგლები.

— ჩვენ პატივს ვცემთ „აიაქსის" ისტორიას, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ თამაშამდე — უთხრა ბერძენ ჟურნალისტებს ხუან რამონ როჩამ — რომთან მეტოქეზე ერთი ნაბიჯით აზლოს ვართ. საპასუხო მატჩი შინ უნდა გავმართოთ, ეს კი ასეთ შემთხვევაში უპირატესობაა".

### იუვენტუსი 2:0 ნანტი

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, პესოტო, ვერხოვოდი (მაროკი 63), პორინი, პაულო სოუზა (კარერა 82), დი ლივიო (ლომბარდო 74), იუგოვიჩი, ვიალი, დელ პიერო, პადოვანო

ნანტი: კასაგრანდე, ლე დიზე, პინიოლი, კაპრონი, დეკრუა, ფერი, კარო, კოე, უედეკი (პირელადი 86), გუვერნიკი (შანელე 46), კოსეცკი (გიო 69)

გოლი: ვიალი (50), იუგოვიჩი (66)

**მატჩამდე**

— სამწუხაროდ, „ნანტთან" რამდენიმე ისეთი მოთამაშე არ მეყოლება, ახლა საუკეთესო ფორმაში რომაა — დაიჩივლა „იუვენტუსის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ — თუმცა, ორიოდ საინტერესო ალტერნატივაც გამაჩნია და ერთ სიურპრიზსაც ვამზადებ.

— „ნანტი" ნახევარფინალში გავიდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროპის ოთხ უძლიერეს გუნდთაგანია — შეაქო მომავალი მეტოქე ალესანდრო დელ პიერომ — შესაძლოა მათ დიდი ვარსკვლავები არ ჰყავთ, მაგრამ მეტად ორგანიზებულნი არიან. განა იცნობდა ვინმე „ბორდოს" და „პარი სენ ჟერმენის" მოთამაშეებს, სანამ მათ იტალიურ კლუბებთან თამაშით არ გაითქვეს სახელი"?

— „იუვენტუსი" ბრწყინვალედ ორგანიზებული გუნდია. მის წინააღმდეგ თამაში საშიშია, მაგრამ ჩვენთან ისინი რამდენიმე დისკვალიფიცირებულის გარეშე იქნებიან და შესაძლოა ჩვეულად ვერ ითამაშონ — იმედოვნებდა „ნანტის" მწვრთნელი ჟან კლოდ სიუდო.

„იუვე" ვერ ათამაშებდა ტორიჩელის, დეშამპს, კონტეს და დაშავებულ ტაკინარდისა და რავანელის. „ნანტი" პედროსის, ნდორამის და მაკალელეს გარეშე იყო.

**მატჩი**

50-ე წუთზე ჯანლუკა ვიალიმ ჩემპიონთა თასის ამ გათამაშებაში პირველად შეაგდო. ეს შეხვედრის პირველი გოლიც იყო. 10 კაციანმა „ნანტმა" საბოლოოდ 0:2 წააგო. მეორე იუგოსლავიელმა ვლადიმერ იუგოვიჩმა შეაგდო. 66-ე წუთზე მისი 22-23 მეტრიანი უზადო დარტყმა მეკარისაგან მარცხენა ცხრიანში შევარდა.

ფრანგებმა პირველ ტაიმში ბრუნო კარო მოისაკლისეს. მან ერთ მცირე დროში ორი ყვითლის მიღება მოახერხა. რაკილა სიტყვა ყვითელ ბარათზე ჩამოვარდა, ყვითელფორმიან „ნანტს" იმ საღამოს იმავ ფერის ჭირი შეეყარა. შემდეგ თამაშს კი სერჟ ლე დიზეც გამოტოვებს.

იტალიელები, რომელთაც ტექნიკა და გამართული ტაქტიკური აზროვნება არ აკლიათ, სამხეცედან გამოშვებულ ნადირს ჰგავდნენ. ეს იყო წარღვნა, ცუნამი. მეორე



ჯანლუკა ვიალი

ტაიმის მიწურულს საბრალო ფრანგები ვგონებთ საფინალო სასტვენს ნატრულობდნენ. „ნანტი" ფეხბურთის მომგონთ უნდა უმადლოდეს, რომ თამაში მხოლოდ საათნახევარს გრძელდება. მეტი რომ ყოფილიყო, ანგარიშს ვინ ჩივის, ფრანგი ფეხბურთელების სიცოცხლის შენარჩუნება გახდებოდა სათუო.

**მატჩის შემდეგ**

მარჩელო ლიპი: „მეორე ტაიმში გარკვეული რისკის ფასად სისწრაფეს ვუმატეთ და გოლებიც გავიტანეთ. ჩემი სიურპრიზი მცველი პესოტოს ნახევარდაცვაში გადაყვანა გახლდათ. ძლიერ მინდოდა მესამეც შეგვეგდო, მაგრამ იმედმა გამიმართლა. ახლა შანსები 51 50-ზეა ჩვენს სასარგებლოდ. ნანტში სულ სხვანაირი თამაში გაჩაღდება. მეტოქემ პირველ ტაიმში ხომ საუცხოოდ ითამაშა. მათ სამი მეტად ძლიერი მცველი ჰყავთ".

ჟან კლოდ სიუდო: „პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ, მეორეში კი ათნი თერთმეტის წინააღმდეგ რას გავხდებოდით? შედეგი სამართლიანია. საპასუხო შეხვედრაში მდგომარეობის გამოსწორება შეგვიძლია".

# სტუმრებს ძალიან სციოდათ

## უეფას თასი

### პირველი ნახევარფინალური შეხვედრები
### 2 აპრილი

### სლავია 0:1 ბორდო

სლავია: სტეისკალი, ლერხი, პასკი (პუნალი 29), ბეიბელი, კოზელი, ნოვოტნი, სმიჩერი, კრისტოფიკი (ვაერა 46), პობორსკი, სმეიკალი (სტაინერი 77), ვაგნერი

ბორდო: უარი, ტოი, ლიზარაზუ, ფრიცპანსენი, დოგინი, ლუკა, ზიდანე, კროსი, ბარკარელი (ფერნანდესი 86), ვიჩხე, დუგარი

გოლი: დუგარი (7)

გაფრთხილება: ნოვოტნი, პუმალი, ვაგნერი

პრაღაში ისტორიულ მატჩებს ელოდნენ. იშვიათი აჟიოტაჟი და ხუთგრადუსიანი ყინვა „სლავიას" მწვრთნელს ფრანტიშეკ სიპროს თანამებრძოლი ეგონა. თქვენ სამხრეთ საფრანგეთის მაგვარ კლიმატს შეჩვეულნი ხართ, ფრანგები კი ჩვენებურ ყინვაში თავს უქეიფოდ იგრძნობენო, ეუბნებოდა იგი შეგირდებს. მწვრთნელს იმედმა უმტყუნა: როგორც ჩანს, ნახევარფინალმა დარი და ავდარი არ იცის. ბორდოელებმა, სწრაფად, დაკვირვებით და დიდი შემართებით ითამაშეს. დაცვისას მკაცრნი, შეტევისას რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდნენ. ერთიხანობა ისე გაილაღეს, მარადონასებრი ქუსლური ბზრიალიც წამოიწყეს, ოღონდ საჩვენებლად კი არა, საქმიანად. ჩეხებიც სწრაფ თამაშს იყვნენ დახარბებულნი. სარმები და კვანტის გამოდებებიც, გაგიხარია, ბლომად იყო. ბოლოს მასპინძლებმა თავქუდმოგლეჯილი შტურმით სცადეს ფონს გასვლა, მაგრამ „ბორდოს" მცველები და მეკარე უარი იმ საღამოს გოლის გაშვებაზე ყაბულს არ იყვნენ.

საფრანგეთის ამ გუნდმა, თავის ჩემპიონატში მე-14 ადგილზე რომაა, უეფას „ინტერტოტოს თასს" ისეთი რეკლამა გაუკეთა, თქვენი მოწონებული. მაშინ, როცა ინგლისელები ახალ შეჯიბრებას იწუნებდნენ, ბორდოელები ნელ-ნელა წინ მიიწევდნენ და ვინ წარმოიდგენდა, ამდენ ეტაპს რომ დაძლევდნენ. არც ახლა აპირებენ გაჩერებას. პრაღაში, მე-7 წუთზე მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა ზინედინ ზიდანემ ბურთი ორ მეტოქეს არ დაუთმო, შუისკენ კრისტოფ დუგარის მიუგორა, მეოთხედფინალში „მილანის" კარში ორი გოლის ავტორმა კი სტეისკალს მარცხენა ფეხთან ჩაუქროლა ბურთი. ცოტა ხანში დუგარიმ ძელს მოარტყა ბურთი.

...„სლავიამ" ძლიერად ითამაშა. მეორე ტაიმში დიდი წნეხის ქვეშ მოვექეცით. საპასუხო შეხვედრა ძნელზე-ძნელი იქნება. შანსი 60:40-ზეა ჩვენს სასარგებლოდ. — თქვა პრეს-კონფერენციაზე „ბორდოს" მწვრთნელმა ჟერონ რორმა.

„ზიდანე და დუგარი წამით მივატოვეთ, რაც გადამწყვეტ გოლად დაგვიჯდა. არადა, ძლიერ კარგად ვითამაშეთ. ყველაფერი როდი დავკარგეთ. დიდი მონდომება გვმართებს. მერე კი ვნახოთ..." — სიპრო მაინც იმედიანი დარჩა.

პრაღელები საპასუხო შეხვედრას მართლაც დიდი შემართებით ჩაატარებენ. მათ ხომ ნახევარფინალში გასვლისთვის 100 ათას დოლარიან პრემიას უკვე გამოჰკრეს ხელი, საფინალოდ კი მეტს ელიან.

**ზურაბ ფოცხვერია**
პრაღიდან

### ბაიერნი 2:2 ბარსელონა

ბაიერნი: კანი, ბაბელი, ციგე, კროიცერი (ვიტეჩეკი 46), ჰელმერი, ნერლინგერი, შოლი, პერცოგი, კლინსმანი, მათეუსი, პაპენი

ბარსელონა: ბუსკეტი, ფერერი, კელადესი, გვარდიოლა, პოპესკუ, ბაკერო (დე ლა პენია 75), ფიგუ, ამორი, ოსკარი (კრუიფი 52), პაჯი, როჯერი

გოლი: ოსკარი (15), ვიტეჩეკი (52), შოლი (57), პაჯი (77)

გაფრთხილება: ციგე, როჯერი, ამორი, დე ლა პენია

კატალონიელები ბავარიას დისკვალიფიცირებული ნადალის, სერხის და აბელარდოს გარეშე ჩავიდნენ. მასპინძლებს სიცხიანი სფორცა და ზურგისნერვატკიებული და საზარდულდაშავებული შტრუნცი აკლდათ.

„ბაიერნს" შაბათს ბუნდესლიგის უმნიშვნელოვანესი მატჩი ჰქონდა, სამ დღეში კი უეფას თასის ასეთივე შეხვედრამ უწია. მენეჯერი ული ჰიონესი ამბობდა: ვშიშობ, „დორტმუნდთან" თამაში დიდძალ ენერგიას წაგვართმევსო. ალბათ ასეც მოხდა. შაბათის გამარჯვებამ (1:0) მიუნხენის გუნდი გერმანიის ჩემპიონატის ლიდერად აქცია, მაგრამ ძალღონეც ბლომად შეიწირა. ეს იყო მატჩი, რომელშიც მსაჯს ყვითელი ბარათი ჯიბეში არ ჩაუდია, მისი დამთავრების შემდეგ კი მეპმედ შოლმა დორტმუნდელთა შვეიცარიელ ფორვარდ შტეფან შაპუიზას ალიყური აჭამა.

77-ე წუთზე, „ბაიერნის" მცველი მარკუს ბაბელი მოტრიალდა და მეტოქის მშვენივრად მოთამაშე რუმინელ ვარსკვლავს გეორგ ჰაჯის საუცხოო პასი მიაწოდა. რამ ჩაადენინა ბაბელს ეს სიგიჟე კაცმა არ იცის, ჰაჯი კი ოლივერ კანთან პირისპირ შევიდა და ვითომ მარჯვნივ ვარტყამო, მარცხნივ გაიტანა. რუმინელი ამ ეპიზოდში უბადლო იყო. თუმცა, მარტო ეს ეპიზოდი როდია მოსატანი, მისი თამაში იმ საღამოს ისედაც თვალშისაცემი გახლდათ.

ასე გათანაბრდა ანგარიში — მეორედ და საბოლოოდ. „ბაიერნს", რომელიც მეორე ტაიმში იშტაზე იყო მოსული და პირველში დაწინაურებულ მეტოქეს გადათელვას უპირებდა, ცივი წყალი გადაესხა.

წყლისა რა მოგახსენოთ, სიცივე და ძლიერი თოვა კი ფეხბურთელებს ნამდვილად არ აკლდათ. მე-15 წუთზე, როჯერის ტყუპისცალმა ოსკარმა, ბაკეროსთან ერთშეხებიანი კომბინაცია გაითამაშა და მეკარესთან პირისპირ შესულმა ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში ვერაფერი გააწყვეს, მეორეში კი ძალა მოიკრიბეს და ხუთ წუთში ორი გოლი შეაგდეს. ჯერ, 52-ე წუთზე ვიტეჩეკმა კრისტიან ნერლინგერის პასი მიიღო და საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა გაქვითა, 57-ეზე იგივე ფრთა შოლმა დაიბრიყვა — 2:1. ვინძლო მიუნხენელები მეტად გამძლავრებას ლამობდნენ, მაგრამ „ბაბელის საგოლე პასმა" ნირი წაუხდინათ.

„ადრე გაშვებულმა გოლმა ცუდი გავლენა იქონია, მეორე ტაიმამდე გონს ვერ მოვეგეთ. ბარსელონაში, 90 ათასი მაყურებლის წინაშე უკეთესად ვაპირებთ თამაშს. მეტოქემ დიდებული, ერთშეხებიანი ფეხბურთი გააჩაღა... შანსი კიდევ გვაქვს, თუმცა ახლა მოგებალა გვაწყობს" — თქვა მატჩის შემდეგ „ბაიერნის" მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა.

იოჰან კრუიფმა კი თავისი ფეხბურთელები შეაქო: „ორივე გუნდი რისკიანად თამაშობდა. მეორე ტაიმში მასპინძლები დიდებულად მოქმედებდნენ, მაგრამ ჩემი მოთამაშეები კარგად დაუხვდნენ. მე კმაყოფილი ვარ".

„ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სახელი „ბაიერნთან" დაკავშირებით ახსენეს. ეს ჩემი შრომის დაფასებაა, მაგრამ მე ესპანეთში ცხოვრება მომწონს. თანაც გერმანიაში ძლიერ ცივა" — თქვა კრუიფმა და დასძინა: „არც ჰოლანდიის ნაკრების თავკაცობას ვაპირებ. ამ საქმისთვის არ გამოვდგები. მე ყოველდღიური მუშაობა მჭირდება".

**გიგა კობახიძე**

# სად მიდიხარ კაპელო, სად?

— ათ აპრილს გეცოდინებათ, რომელ გუნდში ვითამაშებ მომავალი სეზონიდან — უთხრა ჟურნალისტებს ორშაბათს, ვარჯიშის შემდეგ, „მილანის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, რომელსაც გუნდი მეხუთე სეზონში მეოთხე სკუდეტოსკენ მიჰყავს.

მანამდე კაპელო ყველაფერს საბოლოოდ მოიფიქრებს და სათანადო პიროვნებებს მოელაპარაკება, ახლა კი ამ თემაზე საუბარი არ სურს.

„კორიერე დელო სპორტმა" მარტში გამოაქვეყნა ცნობა, თითქოს „მილანის" მწვრთნელს 1,7 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი უკვე გაეფორმებინოს „პარმასთან". თუმცა, „პარმას" წარმომადგენლის თქმით, მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა. რაღაცაზე ვერ თანხმდებიან.

სამშაბათს „გაძეტა დელო სპორტმა" დაწერა, რომ კაპელო „პარმაში" გადასვლას აღარ აპირებს და ახლა მადრიდის „რეალზე" ფიქრობს. თურმე მას „რეალის" პრეზიდენტი დაკავშირებია და ხუთწლიანი ხელშეკრულება შეუთავაზებია.

ესპანურ გაზეთ „მარკას" კაპელომ განუცხადა, რომ „რეალში" გადასვლის იდეა მას ერთობ ხიბლავს.

„მილანის" პრეს-ცენტრის უფროსმა, პაოლო ტაროზიმ თქვა, რომ მწვრთნელი თავის მომავალზე კლუბის ვიცე-პრეზიდენტთან ადრიანო გალიანისთან მსჯელობს. მათ გადაუწყვეტიათ 10 აპრილს, „კალიარისთან" მატჩის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და საბოლოო სიტყვა თქვან.

10 აპრილს, იტალიელ ფეხბურთელთა გაფიცვის გამო გადადებული ტური ტარდება.

## ინგლისი

გამოტოვებული მატჩები. ლივერპული — ნიუკასლი 4:3; ლიდსი — საუთჰემპტონი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ | 32 | 20 | 7 | 5 | 60:31 | 67 |
| ნიუკასლი | 31 | 20 | 4 | 7 | 58:32 | 64 |
| ლივერპული | 32 | 18 | 8 | 6 | 64:30 | 62 |
| ასტონ ვილა | 32 | 16 | 8 | 8 | 47:31 | 56 |
| არსენალი | 32 | 15 | 9 | 8 | 44:28 | 54 |
| ტოტენჰემი | 31 | 15 | 9 | 7 | 43:31 | 54 |
| ევერტონი | 33 | 14 | 9 | 10 | 53:38 | 51 |
| ბლექბერნი | 32 | 14 | 6 | 12 | 47:39 | 48 |
| ნოტინგემი | 31 | 12 | 11 | 8 | 40:41 | 47 |
| ჩელსი | 32 | 11 | 12 | 9 | 37:35 | 45 |
| ვესტ ჰემი | 31 | 12 | 6 | 13 | 38:44 | 42 |
| ლიდსი | 30 | 12 | 6 | 12 | 36:42 | 42 |
| მიდლსბრო | 33 | 10 | 9 | 14 | 30:42 | 39 |
| შეფილდი | 32 | 9 | 8 | 15 | 43:51 | 35 |
| უიმბლდონი | 32 | 8 | 9 | 15 | 47:63 | 33 |
| მანჩესტერ სიტი | 33 | 7 | 10 | 16 | 27:50 | 31 |
| საუთჰემპტონი | 32 | 6 | 10 | 16 | 29:47 | 28 |
| ქუინზ პარკი | 33 | 7 | 6 | 20 | 31:50 | 27 |
| ქოვენთრი | 32 | 5 | 12 | 15 | 38:59 | 27 |
| ბოლტონი | 33 | 7 | 5 | 21 | 36:63 | 26 |

## საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 25 (6-7 აპრილი)

1 მილანი — ლაციო — იტალიის ჩემპიონატი
2 ტორინო — იუვენტუსი — იტალიის ჩემპიონატი
3 პარმა — ნაპოლი — იტალიის ჩემპიონატი
4 ვიჩენცა — ატალანტა — იტალიის ჩემპიონატი
5 ოვიედო — ატლეტიკო — ესპანეთის ჩემპიონატი
6 ბარსელონა — სოსიედადი — ესპანეთის ჩემპიონატი
7 რეალი — სპორტინგი — ესპანეთის ჩემპიონატი

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 6 აპრილს, 16. 00

№ 24 ტირაჟის შედეგები:
1. 0-2 2. 1-0 3. 1-2 4. 0-0 5. 1-2 6. 0-1 7. 3-0

მოგებები: ხუთი, ექვსი, შვიდი მატჩის ანგარიში ვერავინ გამოიცნო. სრული JACK ROT შესაბამისად, 210, 505 და 885 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, აზმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

# ხვალ შეერთებულ შტატებში

ხვალ, ოკეანის გადაღმა, აქამდე უფეხბურთო და სხვანაირად მოაზროვნე ამერიკაში, უფრო ზუსტად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იწყება ახალი და ერთიანი, მთავარი საფეხბურთო ლიგის ჩემპიონატი. ამ ლიგის ჩამოყალიბებამდე იქაურებმა დიდი გზა განვლეს. ხან ერთი ასოციაცია თუ ლიგა შექმნეს, ხან მეორე. ხან გააერთიანეს ისინი, ხან გააუქმეს. დღემდე ყველაფერი იმას მეტყველებდა, რომ გარი კუპერისა და ო-ჯეი სიმპსონის თანამემამულეებს ფეხბურთი დიდად არ იტაცებდათ. უბრალოდ, იყვნენ ვილაც-ვილაცეები, დანარჩენი მსოფლიოს მთავარ სპორტს მულამი რომ გაუგეს, მაგრამ სტადიონებზე ძირითადად პოპ-კორნის საკნატუნოდ მიმავალ საზოგადოებას იგი ვერაფრით შეაყვარეს. ამ ბოლო დროს ვითარება თითქოს შეიცვალა. ამერიკელებმა საფეხბურთო ფულის სუნი უფრო მძაფრად იყნოსეს და საქმეს შეუდგნენ. 1994-ში მსოფლიოს პირველობას უმასპინძლეს, ახლა კი თავისი ჩემპიონატის გაჩაღებაც ისურვეს. მთავარ საფეხბურთო ლიგაში ათი გუნდია, ორ კონფერენციად დაყოფილი. დასავლეთ კონფერენციაში ითამაშებენ: „კოლორადო რაპიდსი", „სან ხოსე კლეში", „ლოს ანჯელეს გელექსი" და „კანზას სიტი ვიზი", აღმოსავლეთში: „ნიუ ინგლენდ რევოლუშენი", „კოლამბას კრუ", „ტამპა ბეი მიუტინი", „ნიუ იორკ — ნიუ ჯერსი მეტროსტარზი" და „ვაშინგტონ იუნაიტედი". რეგულარულ სეზონში, სადაც მოგებისთვის სამი ქულა დაირიცხება, ფრის მერე პენალტებს შეასრულებენ (ამერიკულად, ჰოკეის ბულიტებივით) და მოგებული ერთ ქულას წაიღებს, წაგებული კი უქულოდ დარჩება. თითო გუნდი სულ 32 მატჩს გამართავს. გუნდები ეთამაშებიან როგორც თავისი ჯგუფის, ისე მეორე კონფერენციის წარმომადგენლებს, თანაც ყველა — ყველას არა. მერე დაიწყება ფლეი-ოფი, რომელშიც ჯგუფებში პირველ ოთხ ადგილზე გასულები დაიშვებიან.

ამერიკელთა სამწუხაროდ, ფიფამ კარის ზომები არ გაახრდევინა. მოკლედ, ოკეანისგაღმელი, უცნაური ქვეყანა საფეხბურთო მსოფლიოს თითქოს შემოუერთდა, თუმცა, კარგია ეს თუ ცუდი, კაცმა არ იცის. გამორიცხული არაა, რომ მათ ცოტა ხანში ჩვენი სპორტი, რაღაც სხვანაირად შერეკილ სანახაობად გადააკეთონ. თუ ასე მოხდა, იმედია, ევროპა მათი გავლენის ქვეშ არ მოექცევა.

## აღმოსავლეთი კონფერენცია

### კოლამბას კრუ

სტადიონი: ოიო სტედიუმი
მწვრთნელი: ტიმო ლიეკოსკი
მფლობელი: ლემარ ჰანტი
ფორმა: ადიდასი

მეკარეები: ბო ოშონი, კევინ ისტი

მცველები: ბრაიან ბლისი, მარკ ვოტსონი, ბილი ტომპსონი, მაიკლ კლარკი, შეინ ბეტილი, ლორენს პიტურო, პოლ კალიჯური

ნახევარმცველები: დოქტორ ხუმალო, ბრაიან მეისონევი, ბრენდონ უორდი, იანუშ მიხალიკი, ტოდ იგლი, პოლ იანგი, ტოდ ჰესკინსი, მენი კატანო, მაიკლ რობლზი, რობ სმიტი, ტოდ მილერი

თავდამსხმელები: ადრიან პაცი, ბრაიან მაკბრაიდი, მარჩელო კარერა, პიტ მერინო, მეკ კოზიერი, რიჩი გრინვუდი

### ნიუ ინგლანდ რევოლუშენი

სტადიონი: ფოქსბორო
მწვრთნელი: ფრენკ სტეპლტონი
მფლობელი: რობერტ კრებტი
ფორმა: რიბოკი

მეკარეები: ჯიმ ადამსი, ჯიმ ანდრე

მცველები: ტედ ქრონოპულოსი, იან ფრეიზერი, ზაკ იბსენი, ალექსი ლალასი, ტომ ლიპსი, რიჩარდ ვაისმანი

ნახევარმცველები: იარი ოლნატი, ჯოფ ონჯერი, იმად ბაბა, მაიკ ბერნსი, ჯონ დებრიტო, პაულუ დუშ სანტუში, ჯორჯ ოლემენდი, ანტონიო სუპერბია, პიტერ ვუდრინგი

თავდამსხმელები: დერკ დროუი, ჯუზეპე გალდერიზი, პოლ კოგანი, არაუჯო „ველტონ" მილო, ალბერტო ნავედა, დარენ სავაცკი, რობ აკროპი, ბოიან ვუკოვიჩი, მარკუს ვაითი

### ნიუ-იორკ მეტროსტარზი

სტადიონი: ჯაიანთს
მწვრთნელი: ედი ფირმანი
მფლობელები: ჯონ კლაჯი და სტიუარტ სუბოტნიკი
ფორმა: ნაიკი

მეკარე: ზაკ თორნტონი

მცველები: ნიკოლა კარიკოლა, მატ ნოულზი, ჯეფ ზაუნი, ენდრიუ რესპრეტო, კენ პისი, სკოტ ლემფიარი

ნახევარმცველები: რეთ პერთი, ტედ გილენი, მიკი კიდზი, ნადალ ბაბა, ვოლტერ ბასტამენტი, ედ როდრიგესი, რობერტო დონადონი, ჟუნინიო, დენ ბარბერი

თავდამსხმელები: პიტერ ვირმსი, ეიჯი ფედი, ედი სოტო, ჯოვანი სავარესე, ქერი სტოქტონი, ხორხე აკოსტა, ტულიო, მაილს ჯოზეფი, ჰამისი ამანი-დაუი

### ტამპა ბეი მიუტინი

სტადიონი: ტამპა
მწვრთნელი: თომას რონჯერი
ფორმა: ნაიკი

მეკარეები: სკოტ ბადნიკი, მარკ დოუერტი

მცველები: ადამ ფრი, ფრენკი ჰედიუკი, ტეიტ იანი, კლი ქუიმენი, მარტინ ვასკესი, ფრენკ იალოპი

ნახევარმცველები: დერეკ ბექმანი, ჯონ დიფლი, მაიკლ დიუპეინი, პიტერ პეტრაპი, გრეგ ლალასი, ზინონ ლეუნიაკი, ივან მაკინლი, სტივ რელსტონი, კეისი სვიინი, კარლოს ვალდერამა, ნელსონ ვარგასი, ევანს ვაიზი

თავდამსხმელები: ფლავიო ფერი, გორან ჰუნიაკი, როი ლესიტერი, ბონიფაც ოკაფორი, დიეგო ვიერა

### ვაშინგტონ იუნაიტედი

სტადიონი: კენედი
მწვრთნელი: ბრიუს არინა
ფორმა: ადიდასი

მეკარეები: გერტ ლეიგერვეი, მაილ მილოვაჩი, მეტიუ ოლსონი

მცველები: საიდ ფაცლაგისი, ერიკ იმლერი, კრის კელდერმანი, თორ ლი, კლინტ პი

ნახევარმცველები: დანიელ დე ოლივეირა, მარკო ეჩევერი, ჯონ ჰარკსი, ბრაიან კემლერი, შონ მედვედი, რიჩი ვილიამსი

თავდამსხმელები: კარლოს გარსია, ხუან ბერტი სუარესი, სტერლინგ ვესქოთი

## ისტორია: აშშ და ფეხბურთი

**1620**

ხალხური თქმულება ამბობს, რომ საცოდავად მავალ წმინდა მამებს, პლიმუთ-როკში რომ დასახლდნენ, მასაჩუსეტსის სანაპიროსთან უხილავთ ინდიელნი, რაღაც ფეხბურთის მაგვარს რომ თამაშობდნენ. ამ თამაშს თურმე პასუკუაკოჰოვოგ ერქვა, რაც ჩვენებურად ნიშნავს „ისინი ფეხბურთის სათამაშოდ შეიკრიბნენ"-ს.

**1862**

THE ONEIDAS OF BOSTON — ასე ერქვა პირველ საფეხბურთო კლუბს, რომელიც გერი მილერ სმიტმა დაარსა. ეს გუნდი 1862-65 წლებში ერთხელაც არ დამარცხებულა. ამის პატივსაცემად, „ბოსტონ ქომონზე", სადაც ONEIDAS თამაშობდა, დღეს ძეგლი დგას.

**1865-1876**

სამოქალაქო ომის შემდეგ ფეხბურთი კოლეჯთა სპორტად ჩამოყალიბდა. 1876 წლის 6 ნოემბერს ნიუ-ჯერსის შტატში, ქალაქ ნიუ-ბრანსვიკში გაიმართა პირველი შეხვედრა. ერთმანეთს შეებრძოლნენ პრინსტონის და რაჯერის უნივერსიტეტები. რაჯერმა მოიგო 6:4 — თამაში რაგბსაც გავდა და ფეხბურთსაც.

**1876-1880**

ამერიკას ბრიტანელ ემიგრანტთა ტალღა მისკდა. მათი დასახლების ადგილებში, საფეიქრო ადგილებსა თუ მაღარო-საბადოებში ჩამოყალიბდა უამრავი გუნდი. ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქაში ფეხბურთი ფრიად მოედო ოკეანისგაღმეთს.

**1884**

ნიუ-ჯერსის შტატში, ნიუაკში დაარსდა ამერიკის ფეხბურთის ასოციაცია. მან გააერთიანა მრავალი საფეხბურთო თემი და ერთთავად ცდილობდა, საერთო წესების შემოღებასა და სახეობის მიზანმიმართულ განვითარებას.

**1885-1886**

აშშ და კანადა წელიწადში ერთხელ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამერიკელები თვლიან, რომ ეს იყო პირველი საერთაშორისო მატჩები ბრიტანეთს გარეთ.

**1904**

სენტ-ლუისში ფეხბურთი ოლიმპიურ სახეობად გამოცხადდა.

15 აგვისტოს აშშ-ის ფეხბურთის ასოციაცია ფიფას დროებით წევრად მიიღეს.

**1914**

24 ივნისს აშშ-ის ფეხბურთის ასოციაცია ფიფას ყოველწლიურ კონგრესზე ამ ორგანიზაციის მუდმივ წევრად მიიღეს. ეს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში მოხდა.

**1916**

აშშ-ის ნაკრები სათამაშოდ ჩავიდა ნორვეგიასა და შვედეთში. ექვსი შეხვედრიდან სტუმრებმა 3 მოიგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და 2 წააგეს.

**1919**

პირველი ამერიკული პროფესიული გუნდი, ევროპაში რომ ჩავიდა სათამაშოდ, იყო „ბეთლემი". ეს გუნდი შვედეთს ეწვია.

**1921**

ამოქმედდა ამერიკის პროფესიული საფეხბურთო ლიგა. მასში მონაწილეობდნენ: „ფოლ რივერი", „ფილადელფია", „ჯერსი სიტი სელტიკსი", „თოდ შიპიარდ ოფ ბრუკლინი", „ნიუ იორკ ფ.კ.", „ჯეი-პი ქოუთს ოფ ფოთაქეთ" და „ფალკო ფ.კ."

**1923**

ბოსტონის „ქომონველს ქელვერი არმორიში" გაიხსნა მსოფლიოში პირველი დარბაზის ფეხბურთის შეჯიბრება. მოედნის ზომა ჩვეულებრივი იყო და გუნდებშიც თერთმეტნი თამაშობდნენ.

**1930**

ურუგვაის მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ იყო ერთი მონაწილე 13 გუნდს შორის. „ფოლ რივერის" ფეხბურთელი ბერტ პეიტენოდი ჩემპიონატის მესამე ბომბარდირი და მსოფლიოს პირველობების ისტორიაში პირველი ჰეთ-თრიქის ავტორი გახდა.

**1932**

ლოს-ანჯელესში გამართული მეათე ოლიმპიადის პროგრამიდან ფეხბურთი ამოიღეს, რადგან იმხანად ფიფა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სახეობის სტატუსის (სამოყვარულო თუ პროფესიული) თაობაზე ცხარედ დაობდნენ. თანაც, ბევრმა წამყვანმა გუნდმა კალიფორნიაში ჩასვლა არ ისურვა, რადგან ეძვირა.

**1938**

„ვესტჩესტერ სტეიტ კოლეჯმა" და „სეილისბრის" კოლეჯმა პროჟექტორების შუქზე ითამაშეს.

**1941**

ჩამოყალიბდა ქვეყნის მწვრთნელთა ასოციაცია, რომელშიც 10 სპეციალისტი გაერთიანდა.

**1950**

ჯო გაუტიერის გოლით ბრაზილიაში მიმდინარე მსოფლიოს პირველობაზე აშშ-მ მოუგო ინგლისს 1:0. ამას ინგლისელებმა ყველაზე გულსატკენი მარცხი შეარქვეს.

**1958**

ფეხბურთის ასოციაციამ საფეხბურთო ლიგას ნება დართო შეექმნა ახალი, ფეხბურთის საერთაშორისო ლიგა. მასში უნდა გაერთიანებულიყვნენ ევროპული, ბრიტანული (რატომღაც ცალ-ცალკე) და სამხრეთამერიკული საუკეთესო კლუბები. მათ უნდა ემოქმედათ შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე.

**1959**

სტორსში ჩატარდა NCAA-ს პირველი ჩემპიონატი. სენტ-ლუისმა 5:2 მოუგო ბრიჯპორტის უნივერსიტეტს.

სლიპერი როკში ჩატარდა კოლეჯთა ჩემპიონატი, რომელიც სასწავლებელთა პირველმა ეროვნულმა ასოციაციამ მოაწყო. პრეტის ინსტიტუტმა დაამარცხა ელიზაბეტთაუნის კოლეჯი 4:3.

**1961**

ფიფამ სცნო და აღიარა კონკაკაფი — ჩრდილო, ცენტრალური ამერიკისა და კარიბეთის ფეხბურთის ასოციაცია.

**1967**

ამოქმედდა ორი ახალი პროფესიული ლიგა. ფეხბურთის გაერთიანებული სანქცირებული ასოციაცია და ეროვნული პროფესიული საფეხბურთო ლიგა. წლის ბოლოს, ფიფას მოთხოვნით, ეს ლიგები გაუქმდა და დაფუძნდა ჩრდილო ამერიკის საფეხბურთო ლიგა.

**1973**

ჩრდილო ამერიკის საფეხბურთო ლიგის წევრთა რაოდენობა 18-მდე გაიზარდა.

**1975**

აპრილში „ნიუ იორკ კოსმოსმა" 4,5 მილიონიანი კონტრაქტი დაუდო პელეს.

**1977**

1 ოქტომბერს პელემ „ჯაიანთ სტედიუმზე" გამოსათხოვარ მატჩში ერთი ტაიმი „კოსმოსის", მეორე კი „სანტოსის" შემადგენლობაში ითამაშა. თამაშს 77 202 მაყურებელი დაესწრო.

**1978**

„ჩიკაგო სტინგი" კუბას ჩავიდა და იქაურ ეროვნულ ნაკრებს ეთამაშა. 1959 წლის მერე ეს პირველი შემთხვევა იყო, ამერიკული პროფესიული გუნდი კასტროს ქვეყანაში რომ ჩავიდა.

„ნიუ იორკ კოსმოსი" პირველი იყო ჩრდილო ამერიკის საფეხბურთო ლიგის გუნდებიდან, შინ და სტუმრად ჩატარებულ მატჩებში მილიონ გულშემატკივარზე მეტი რომ დაესწრო.

**1981**

აშშ-ის ნაკრებმა პირველად მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში, ავსტრალიაში რომ გაიმართა. გუნდმა წააგო ურუგვაისთან 0:3 და პოლონეთთან 0:4, ყატართან კი ფრედ ითამაშა — 1:1.

**1984**

დაარსდა გაერთიანებული საფეხბურთო ლიგა. 50-ე სეზონის წინ კი არსებობა შეწყვიტა ამერიკის საფეხბურთო ლიგამ.

დაარსდა ამერიკის დარბაზის ფეხბურთის ასოციაცია.

**1985**

ჩრდილო ამერიკის საფეხბურთო ლიგამ და გაერთიანებულმა საფეხბურთო ლიგამ მოქმედება შეწყვიტეს.

სამაგიეროდ, ამოქმედდა დასავლეთის საფეხბურთო ალიანსი, რომელშიც შვიდი გუნდი იყო გაერთიანებული.

კალიფორნიაში, კერძოდ, პასადენაში, გამართული ყველა ვარსკვლავის მატჩის დროს, ფიფას ოფიციალურმა პირებმა აშშ-ს 1994 წლის მსოფლიოს პირველობის გასამართად განცხადების შეტანა ურჩიეს.

**1988**

4 ივნისს ციურიხში გამართულ ფიფას კონგრესზე აშშ გამოცხადდა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად.

**1989**

პოლ კალიჯურიმ აშშ-ის ფეხბურთის ისტორიაში 1950 წელს ინგლისის კარში გატანილის შემდეგ, უმნიშვნელოვანესი გოლი შეაგდო. მისი 30 მეტრიდან დარტყმულით აშშ-ის ნაკრებმა 19 ნოემბერს დაამარცხა ტრინიდადი და ტობაგო (35 ათასი ტრინიდადელით შევსებულ სტადიონზე) და გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა.

ჰოლანდიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში „ხუთი ხუთზე" დარბაზის ფეხბურთში ამერიკელებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

**1990**

აშშ-მ 40 წლის პაუზის შემდეგ მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ჩემპიონატში.

**1991**

ფიფას ეგიდით ჩინეთში გამართულ ქალთა პირველ მსოფლიოს პირველობაზე, აშშ-ის ნაკრები ჩემპიონი გახდა. ამ ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად შესარჩევ ქვეჯგუფში მათ კონკაკაფის მეტოქეები დაამარცხეს საერთო ანგარიშით 49:0.

კაცთა ნაკრებმა მოიგო რეგიონული ჩემპიონატი. ფინალში, 7 ივნისს, ამერიკელებმა პენალტებით მოუგეს ჰონდურასს 4:3.

კუბაში გამართულ პანამერიკულ თამაშებში 23 წლამდე ნაკრებმა ოქროს მედალი მოიპოვა.

**1992**

აშშ-ის თასზე ამერიკელებმა დაამარცხეს ირლანდია 3:1 და პორტუგალია 1:0, იტალიასთან კი ფრედ, 1:1 ითამაშეს.

ჰონკონგში დარბაზის „ხუთი-ხუთზე" მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ მეორე ადგილზე გავიდა.

**1993**

ავსტრალიაში გამართულ 20 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკამ თურქეთს 6:0 მოუგო. საბოლოოდ, აშშ მერვე ადგილზე გავიდა.

აშშ-ის თასზე ამერიკამ ინგლისს 2:0 მოუგო. შეჯიბრების ექვს თამაშს დაესწრო 286 761 მაყურებელი.

იაპონიაში, 17 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ მეშვიდე ადგილზე გავიდა.

დაიგეგმა მთავარი საფეხბურთო ლიგის დაფუძნება.

**1994**

აშშ-ში ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატი. სტადიონებზე მივიდა 3,5 მილიონი გულშემატკივარი. აშშ-ის ნაკრებმა ჯგუფში ფრედ ითამაშა შვეიცარიასთან 1:1, მოუგო კოლუმბიას 2:1, წააგო რუმინეთთან 0:1 და, მერვედფინალში ბრაზილიასთან 0:1.

ქალთა ნაკრებმა გაიმარჯვა ჩიკუიტას თასზე, ოთხგუნდიან ტურნირზე, სადაც მის გარდა თავი მოიყარეს გერმანიამ, ჩინეთმა და ნორვეგიამ.

**1995**

აშშ-მ გამოთქვა 1999 წლის ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი.

ივლისში „კოპა ამერიკაზე" ამერიკელები ნახევარფინალში გავიდნენ. მათ ისტორიაში პირველად დაამარცხეს არგენტინა 3:0, პენალტებით სძლიეს მექსიკას, შემდეგ კი წააგეს ბრაზილიასთან 0:1.

## დასავლეთი კონფერენცია

### კოლორადო რაპიდსი

სტადიონი: მაილ ჰაი
მწვრთნელი: ბობი ჰაფტონი
მფლობელი: ფილიპ ენშატსი
ფორმა: ადიდასი

მეკარეები: ხალილ აზმი, დასტი ჰადოკი, პოლ გრეიფერი

მცველები: მარსელო ბალბოა, დენის ჰემლეტი, სტივ ტრიცხუკი, ბრაიან ბეიტსი, ტროი ედვარდსი, სკოტ ქენონი, მეტ კმოსკო, იან ბატერვორსი

ნახევარმცველები: დომინიკ კინიარი, ფილიპ როდრიგესი, ერიკ პალსი, ჯოშ მაკგი, ბრაიან ჰარლი, ჯოელ შენკერი, მაიკ ჯენტილე

თავდამსხმელები: როი ვეგერლი, შონ ბარტლეტი, ჯინ ჰერბორი, სკოტ ბენედიტი, ლენს ჰილი, რიჩარდ შარპი

### დალას ბერნი

სტადიონი: კოტონ ბოული
მწვრთნელი: დეივ დირი
ფორმა: ნაიკი

მეკარე: მარკ დოდი

მცველები: ლორენს ლოზანო, ჯიმი მაკგი, ედ პუსკარიჩი, ტომ შოენი

ნახევარმცველები: ლეონელ ალვარესი, გრეგ ელიოტი, ხორხე ფლორესი, გაბრიელ ჯენტილე, ბრაიან ჰეინესი, სტივ კელერი, ჯონ კერი უმცროსი, რენე ორტისი, ვაშინგტონ როდრიგესი, მარკ სენტელი

თავდამსხმელები: ტედ იკი, რიჩარდ ფერერი, ჯიმი გლინი, ჯეისონ კრეისი, უგო სანჩესი

### კანზას სიტი უიზი

სტადიონი: ეროუჰედი
მწვრთნელი: რონ ნიუმენი
მფლობელი: ლამაზ ჰანტი
ფორმა: ადიდასი

მეკარეები: ჰერინგტონ პეტი, გერდ ლეიგერვეი, კრის სნიტკო, ფილ ველინგტონი

მცველები: შონ ბაუერსი, სამუელ ეკემა, მეტ მაკკონი, დევიდ მოქსონი, უზე ოკაფორი, დაიონ სებვე, ტერი ვუდბერი

ნახევარმცველები: ბილი ბომჰოფი, დიეგო გუტიერესი, მარკ ჩანგი, კევინ კოიტერსი, პრეკი, მაიკ სორბერი, სკოტ უდერიცი

თავდამსხმელები: ერიკ ეიკმენი, პიტერ ისააკსი, ფრანკ კლოპასი, ნაიენფორს პიტერსი, ალან პრემკინი, ტომი რისოუნერი, კან სნოუ, ვიტალის ტაკავირა, პოლ რაიტი

### ლოს ანჯელეს გელექსი

სტადიონი: როუზ ბოული
მწვრთნელი: ლოთარ ოსიანდერი
ფორმა: ნაიკი

მეკარეები: ხორხე კამპოსი, დევიდ კრამერი

მცველები: დენ კელიჩმენი, რობინ ფრეიზერი, მენი მოტაიო, კურტ ონალფო, სარკ სიმიოლი

ნახევარმცველები: დევიდ ბილი, მაურიციო კინფეგოსი, კარლოს იაგუანდე, ჯო ლეონეტი, ჯონ ობრაიინი, ხორხე სალსედო, ბრედ ვილსონი

თავდამსხმელები: ჯონ გერვი, კობი ჯოუნზი, ჰერატ კარაპეტიანი, ედუარდო უტრადო, ჯო კირკი, გერფილდ შოუ, ადან ვილაკაცო

### სან ხოსე კლეში

სტადიონი: სპარტან სტედიუმი
მწვრთნელი: ლორენს კელოვეი
ფორმა: ნაიკი

მეკარეები: დეივ სალცვედელი, ტომ ლაინერი

მცველები: რაფაელ ამაია, რამირო კორალესი, ტროი დეიაკი, ჯონ დოილი, ოსკარ დრაგიჩევიჩი, მაიკ ემენალო, ედი ლუისი, ტიმ მარტინი, ჯეიმს ვულდრიჯი

ნახევარმცველები: პოლ ბრავო, ალტიმონ ბატლერი, კარლოს ფარიასი, რობერტო გონზალესი, კევინ გრიმესი, ენრი გუტიერესი, პოლ ჰოლოქერი

თავდამსხმელები: ჯეფ ბეიჩერი, ჯეფ ბეტსი, დერიკ ბრაუნელი, გაბე გარსია, ვიქტორ მელა, ერიკ ვინალდა

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. 26-ე ტური
6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზანქტ პაული — აინტრახტი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| მიუნხენ 1860 — ჰამბურგი | 1,9 | 2,5 | 2,7 |
| ლევერკუზენი — კიოლნი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ფრაიბურგი — ფორტუნა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| დორტმუნდი — ვერდერი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,5 |

7 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიონხენგლადბახი — ბაიერნი | 2,7 | 2,5 | 1,9 |

ინგლისის ჩემპიონატი. 34-ე ტური
6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ლიდსი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ქოვენთრი — ლივერპული | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| ევერტონი — ბოლტონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| მანჩესტერ სიტი — მანჩესტერ იუნაიტედი | 3,6 | 2,9 | 1,5 |
| მიდლსბრო — შეფილდი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ნიუკასლი — ქუინზ პარკი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| ნოტინგემი — ტოტენჰემი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| საუთჰემპტონი — ბლექბერნი | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| ვესტ ჰემი — უიმბლდონი | 1,6 | 3,0 | 3,0 |

იტალიის ჩემპიონატი. 29-ე ტური
6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვიჩენცა — ატალანტა | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| სამპდორია — ბარი | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| რომა — უდინეზე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| კრემონეზე — ინტერი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ტორინო — იუვენტუსი | 2,9 | 2,8 | 1,7 |
| მილანი — ლაციო | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| პარმა — ნაპოლი | 1,3 | 2,7 | 6,0 |
| ფიორენტინა — პადოვა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| კალიარი — პიაჩენცა | 1,4 | 2,8 | 4,4 |

ესპანეთის ჩემპიონატი. 35-ე ტური
6-7 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკი — სალამანკა | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,5 |
| კომპოსტელა — ტენერიფე | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ვალენსია — ალბასეტე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ბარსელონა — სოსიედადი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ბეტისი — სანტანდერი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| ოვიედო — ატლეტიკო | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| რეალი — ხიხონი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| რაიო ვალეკანო — სევილია | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| სარაგოსა — ესპანიოლი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| მერიდა — სელტა | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ვალიადოლიდი — დეპორტივო | 2,0 | 2,5 | 2,5 |

რუსეთის ჩემპიონატი. მე-6 ტური
7 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — როტორი | 1,2 | 3,0 | 6,5 |

საფრანგეთის ლიგის თასის ფინალი. ნეიტრალურზე
6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიონი — მეცი | 2,5 | 2,5 | 2,0 |

ინგლისის ჩემპიონატი. 35-ე ტური
8 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — საუთჰემპტონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 1,8 |
| ბლექბერნი — ნიუკასლი | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| ბოლტონი — ჩელსი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ლიდსი — ნოტინგემი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ლივერპული — ვესტ ჰემი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,5 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ქოვენთრი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| ქუინზ პარკი — ევერტონი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| შეფილდი — არსენალი | 2,8 | 2,6 | 1,8 |
| ტოტენჰემი — მილდსბრო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| უიმბლდონი — მანჩესტერ სიტი | 2,0 | 2,5 | 2,5 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა
იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9
ინგლისი (34-ე). 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | [illegible] | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | 3-0 |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | [illegible] | [illegible] | 1-0 | 4-1 | | 2-2 | 1-0 | 1-0 | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | [illegible] | 1-1 | | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | | 1-2 | 0-0 | | | 0-4 | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | 3-1 | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | 0-0 | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | | 0-3 | | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | 1-3 | 2-1 | 1-0 | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | 1-1 | 2-1 | | | ■ | 0-1 | | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | 1-2 | | 4-2 | ■ | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-0 | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 1-1 | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | | 0-1 | 2-0 | | | | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | | 6-3 | |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | | | | | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | | 0-3 | 2-1 | | | 2-0 | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | 2-0 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | 0-0 | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | | ■ | 3-0 | 1-1 | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | | ■ | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | 0-2 | | 1-1 | 2-1 | | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | 1-1 | | 1-2 | | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | 2-0 | | | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | | 3-3 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-2 | 3-0 | | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | 1-2 | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | 3-0 |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | | ■ | 0-0 | 1-0 | 3-0 | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | 1-2 | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | 0-2 | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | 2-1 | ■ | 3-1 | 1-0 | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | 2-3 | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | 1-1 | | 0-3 | 0-1 | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | | 1-2 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | 2-4 | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | 3-1 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | 0-3 | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | 1-1 | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 2-1 | | 2-3 | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 2-4 |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | 0-1 | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | 1-0 | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | | 2-0 | | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | 3-0 | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | 2-0 | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | 2-3 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | 0-1 | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | 3-1 | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | 4-2 | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# სახალისო ამბები ევროპის ჩემპიონატებიდან

## თავისუფალი

● ევროპის ჩემპიონატზე საქართველოში გაზრდილმა 8 მოჭიდავემ იასპარეზა სხვადასხვა ქვეყნის სახელით: ვადიმ ბოგიევი (რუსეთი, 68 კგ, I ადგილი); ზაზა ზოზიროვი (უკრაინა, 68, III); მერაბ ვალიევი (უკრაინა, მძიმე, III); დავიდ მუსულბესი (რუსეთი, 100, III); პეტროს ბურდულისი (საბერძნეთი, მძიმე); მიკ ქსანტოპულოსი (საბერძნეთი, 90); ნიკო ჭკუასელი (საბერძნეთი, 48); გარი მოდოსიანი (მაკედონია, 82).

● რუსეთის ნაკრებში არც ერთი რუსი არ იყო. მის ღირსებას წონების მიხედვით შემდეგი ეროვნების ფალავნები იცავდნენ: ვუღარ ორუჯევი (აზერბაიჯანელი), შამილ უმახანოვი (დაღესტნელი), შამილ დაიტბეროვი (დაღესტნელი), მაჰამედ აზიზოვი (დაღესტნელი), ვადიმ ბოგიევი (ცხინვალში გაზრდილი და მოსკოვში გადასახლებული ოსი), ბუვაისა საიტიევი (ჩეჩნეთში გაზრდილი დაღესტნელი, რომელიც იქ დატრიალებული მოვლენების გამო კრასნოიარსკში გადასახლდა), ჰაჯიმურად მაგომედოვი (დაღესტნელი), მახარბეკ ხადარცევი (ოსი), დავიდ მუსულბესი (ყაზბეგში გაზრდილი ნახევრად ქართველი ოსი), გიორგი კაისნოვი (ოსი).

● უკრაინის ნაკრებში 6 ოსი მოჭიდავე გამოდიოდა. ეს ამ ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის, მილიონერ ბორის შავლოხოვის (აგრეთვე ოსის) დამსახურებაა. ვლადიმერ თოგუზოვის, ასლანბეკ ფიდაროვის, ელბრუს თედეევის, ზაზა ზოზიროვის, ალან მზოკოვის და მერაბ ვალიევის გარდა უკრაინელებს გაგაუზი (ვიქტორ ეფტენი), უკრაინელი (სერგეი გუბრინიუკი), მოლდოველი (სერგეი პრიადუნი) და ჩეჩენი (საგიდ მურთაზალიევი) ფალავნებიც ჰყავდათ.

● რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის იური შახმურადოვმა მოამზადა. ყოფილი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი არსენ ფაძაევი თავის ნებით გადადგა: ლეგენდარულ მოჭიდავეს ატლანტის ოლიმპიადაზე სურს გამოსვლა და ინდივიდუალური გეგმით ემზადება. თუმცაღა მის წონაში რუსეთის წარმომადგენელმა ვადიმ ბოგიევმა მეტად დამაჯერებლად მოიგო ჩემპიონატი.

ამავე დროს, ფაძაევი ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ ოსეთის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილედ დანიშნეს. არსენისა და ოსი მოჭიდავეების ძმაკაცის, ოსეთის პრეზიდენტის გალაზოვის ვაჟის წყალობით კარგი თანამდებობა — ვლადიკავკაზის ლუდის ქარხნის დირექტორობა ჩაიგდო ხელში კიდევ ერთმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მახარბეკ ხადარცევმა.

● 74 კგ-ში რუსეთის სახელით მოასპარეზე ბუვაისა საიტიევი მეტად მორწმუნე მუსულმანია. ჩემპიონატის დღეებშიც კი იგი დღეში ხუთჯერ ლოცულობდა, ხოლო ჟურნალისტებს განუცხადა: გამარჯვებაში პირველ რიგში ალაჰი დამეხმარაო. ეგ რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ის ვთქვათ, რომ ბუვაისამ მთელს ტურნირზე ყველაზე დახვეწილი და ტექნიკური მოჭიდავის შთაბეჭდილება დატოვა.

## ბერძნულ-რომაული

● ევროპის ჩემპიონატზე საქართველოში გაზრდილმა ორმა ფალავანმა იასპარეზა სხვა ქვეყნის სახელით: გოგი კოღუაშვილი (რუსეთი, 90, I) და გოჩა ციციაშვილმა (ისრაელი, 82, III)

● სომხები მრავლად არიან ევროპაში. ბუდაპეშტშიც სომხეთში გაზრდილმა 9 ფალავანმა იჭიდავა სხვადასხვა ქვეყნის სახელით. ესენი არიან: იოანის ალაჯანიანი, სარქის ელჯიანი, არისტიდის რუბინიანი (ყველა — საბერძნეთი), სამველ დანიელიანი, მნაცაკან ისკანდარიანი (ორივე — რუსეთი), ალფრედ ტერ-მკრტიჩიანი, არტურ ალექსანიანი (ორივე — გერმანია), რუსლან ვართანოვი (ლიტვა), ალიკ სარდარიანი (უკრაინა).

● საინტერესო სიტუაცია შეიქმნა 52 კგ. წონით კატეგორიაში. 26 ფალავნიდან 5 სომეხი ეროვნებისა იყო: ერიკ ხაჩატუროვი (საქართველო), რუსლან ვართანოვი (ლიტვა), სამველ დანიელიანი (რუსეთი), ალფერდ ტერ-მკრტიჩიანი (გერმანია), არმენ ნაზარიანი (სომხეთი).

● საფრანგეთის ნაკრები 8 მოჭიდავით წარსდგა ბუდაპეშტში. მათ შორის ნაღდი ფრანგი სამი იყო, დანარჩენების წარმომავლობა კი არავინ იცოდა: რაშიდ გილმანოვი (57), განი იალუზი (68), ოლივერ ველცერი (82), ქემალ ჰამიში (90), სალაჰ ბელჯიდუ (52)

● გერმანიის ნაკრების ზუსტად ნახევარი უცხოტომელებისაგან შესდგებოდა. ტერ-მკრტიჩიანსა და ალექსანიანზე უკვე მოგახსენეთ. მათ გარდა „ფატერლანდის" ღირსებას თურქი ძმები ფუად (48) და რიფათ ილდიზები (57) და ბერძენი იანის ზამანდურიდისი (68) იცავდნენ.

● ოთხი შარშანდელი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ათეულს მიღმა დარჩა და ოლიმპიადის ლიცენზიები ვერ მოიპოვა. ეს უილბლონი რუსლან ხაკიმოვი (უკრაინა, 57), რუსტემ ჰაჯი (უკრაინა, 68), თომას ზანდერი (გერმანია, 82) და ჰაკი ბაშარი (თურქეთი, 90) არიან.

**მერაბ რატიშვილი**
ბუდაპეშტი — თბილისი

**ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები გახდნენ:**

48 კგ. 1. ჯაფარ გულიევი (რუსეთი), 2. იოანის ალაჯანიანი (საბერძნეთი), 3. ფრანჩესკო კონსტანტინო (იტალია)

52 კგ. 1. ანდრეი კალაშნიკოვი (უკრაინა), 2. არმენ ნაზარიანი (სომხეთი), 3. ალფრედ ტერ-მკრტჩიანი (გერმანია)

57 კგ. 1. შერეფ ეროღლუ (თურქეთი), 2. მარიან სანდუ (რუმინეთი), 3. რიფათ ილდიზი (გერმანია)

62 კგ. 1. სერგეი მარტინოვი (რუსეთი), 2. გრიგორი კამიშენკო (უკრაინა), 3. მხითარ მანუკიანი (სომხეთი)

68 კგ. 1. ატილა რეპკა (უნგრეთი), 2. ალექსანდრ ტრეტიაკოვი (რუსეთი), 3. განი იალუზი (საფრანგეთი)

74 კგ. 1. ნაზმი ავლუჯა (თურქეთი), 2. ვლადიმერ კოპიტოვი (ბელარუსი), 3. ერიკ ჰანი (გერმანია)

82 კგ. 1. ჰამზა ერლიქაია (თურქეთი), 2. პეტერ ფარკაში (უნგრეთი), 3. გოჩა ციციაშვილი (ისრაელი)

90 კგ. 1. გოგი კოღუაშვილი (რუსეთი), 2. მაიკ ბულმანი (გერმანია), 3. ვიაჩესლავ ოლეინიკი (უკრაინა)

100 კგ. 1. სერგეი ლიხტვანი (ბელარუსი), 2. იგორ გრაბოვეცკი (მოლდოვა), 3. ანჯეი ვრონსკი (პოლონეთი)

მძიმე წონა. 1. ალექსანდრ კარელინი (რუსეთი) 2. პეტრო კოტოკი (უკრაინა), 3. სერგეი მურეიკო (მოლდოვა)

## საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატი ძიუდოში

თბილისი. 31 მარტი — 2 აპრილი

46 კგ

1. რატი ლომთაძე (ქუთაისი), 2. კობა ჯაფარიძე (ქუთაისი), 3. საშა სახელაშვილი (გარდაბანი), გოგიტა კევლიშვილი (საგარეჯო).

50 კგ

1. დავით მარგიშვილი (თბილისი), 2. ვახტანგ იტონიევი (ახმეტა), 3. დავით დავიური (ახმეტა), დავით ხანიშვილი (გორი).

55 კგ

1. ირაკლი დონდუა (თბილისი), 2. გელა ბარათაშვილი (ხაშური), 3. დავით მჭედლიანი (თბილისი), მიხეილ კარიაული (დუშეთი).

60 კგ

1. გრიგოლ მამრიკიშვილი (ქუთაისი), 2. თემურ ბაჩიაშვილი (ახმეტა), 3. ლაშა სარდანაშვილი (თბილისი), ტარიელ სულიკაშვილი (საგარეჯო).

65 კგ

1. ყარამან ჯავახიშვილი (თბილისი), 2. ალექსანდრე ჯღამაძე (ფოთი), 3. კახაბერ აზალაძე (თბილისი), თემურ მშვენიერაძე (ზესტაფონი).

71 კგ

1. იმედა იმედაშვილი (ახმეტა), 2. ლევან ანთაძე (ფოთი), 3. ზვიად ჩაგელიშვილი (თბილისი), სოსო მუკბანიანი (წყალტუბო).

78 კგ

1. ავთო ზვიადაური (ახმეტა), 2. ზურაბ ზუმბაძე (ზესტაფონი), 3. ლაშა ფეიქრიშვილი (თბილისი), გიორგი გუგავა (თბილისი).

მძიმე

1. გიორგი ოქროპირიძე (თბილისი), 2. შალვა მოსიაშვილი (ხაშური), 3. კარლო კუბლაშვილი (ახმეტა), ვაჟა ნანეტაშვილი (ქარელი).

## ევროპის კადეტთა ჩემპიონატი ძიუდოში

1. ლაშა სარდანაშვილი (55)

3. დავით მარგიშვილი (50), გელა ბარათაშვილი (50), დავით მჭედლიანი (55), ვახტანგ ნიკუჭაძე (60), გიორგი ნადირაშვილი (65), ავთანდილ ზვიადური (86).

# «კაქტუსი» საბოლოოდ დაიშალა

საქართველოს ჩემპიონატზე კვლავ საგანგებო შემთხვევაა. როგორც გახსოვთ, უმაღლესი ლიგის თამაშები 12-მა გუნდმა დაიწყო. დღეისათვის კი ცხრა გუნდიღა ასპარეზობს. „იმერეთის" და „მერანის" ბედი „კაქტუსმაც" გაიზიარა. „კაქტუსი" ზედიზედ ორ ტურზე არ გამოცხადდა და, დებულების თანხმად, იგი მოხსნილია გათამაშებიდან, — გვითხრა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ.

განმარტებისთვის „კაქტუსის" მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილს მივმართეთ: „ვითას" ხელმძღვანელობა სეზონის დასაწყისში დაგვპირდა, რომ სპონსორის გარეშე არ დაგვტოვებდა, გვითხრა ოქრუაშვილმა. თითქოს, ვიღაც უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ რეალურად არავინ დაგვეხმარებია. გუნდმა 7 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი თვის გასამრჯელო მიიღო. სავარჯიშო პროცესი თითქმის მთლიანად ჩაიშალა და გადავწყვიტე მოუმზადებელი გუნდი სათამაშოდ არ გამეყვანა. მოთამაშეებიც ამ აზრისანი იყვნენ. მოკლედ, გუნდი აღარ არსებობს და, ალბათ, კალათბურთელები სხვადასხვა გუნდებში გადანაწილდებიან, რაც, რა თქმა უნდა, მათი პირადი საქმეა."

მოკლედ, საკალათბურთო ჩემპიონატი კრიზისშია. თუ ამ ორი-სამი წლის წინ კალათბურთელთა პირველობა დიდ ინტერესს იწვევდა, ახლა საკითხავი ისღაა, რამდენი გუნდი მივა ფინიშამდე. არადა, გადამჭრელი ზომების მიღება აუცილებელია. „კაქტუსის" გუნდი, რომელმაც ბოლო წლების ჩემპიონატები გაალამაზა და შარშან ჩემპიონის — „ვითას" მთავარი მოცილე იყო პირველობისათვის ბრძოლაში, ჩემპიონატს გამოაკლდა, რაც მისი უამრავი გულშემატკივრისთვის მეტად დასანანი ფაქტია.

საკუთრივ თამაშებში საინტერესო ამბები ცხრილის შუაგულში ხდება, თორემ „ვითა" და „დინამო" დამაჯერებლად მიიწევენ წინ. საინტერესო იყო „შევარდენი" — „მაკაბის" მატჩი და განსაკუთრებით სდასუსა და „ქიმიკოსის" შეხვედრა, როცა რუსთაველებმა, რომლებიც კარგა ხანს მდევრის როლში იყვნენ, უკანასკნელ წუთზე შესძლეს გამარჯვების მოპოვება.

## ვერის ბაღი საქართველოს ჩემპიონატი

30 მარტი

**შევარდენი — ქიმიკოსი 58:82**

შევარდენი: ისაკაძე (17), ფიოდოროვი (23), ესიტაშვილი (20), ლვინეფაძე (4), თაბუაშვილი (8), ქართველიშვილი, მოისწრაფიშვილი

ქიმიკოსი: გურასპაული (19), კიკვიძე (3), ნიკლაური (20), მ. ბერუაშვილი (12), კეჭაყმაძე (8), გ. ბერუაშვილი (9), ხაიაური (12), გოგოლაძე (4), აბზიანიძე (5), მიროტაძე

**ვითა — კოლხა 128:68**

ვითა: ტურაშვილი (13), კოკოლიშვილი (5), ნაცვლიშვილი (20), ქარაბაკი (13), ორმოცაძე (11), დერიუგინი (8), დადიანი (31), ბოისა (12), ნინიაშვილი (10)

კოლხა: ქვილითაია (2), ბენდიაშვილი (8), ჯიგანია (10), კარტოზია (12), ბერია (3), არველაძე (6), აქირთავა (12), ქარუმიძე (9), კიკალიშვილი (6), სიხარულიძე, აბულაძე

31 მარტი

**მაკაბი — ვითა 65:108**

მაკაბი: უძილაური (14), ხუხაშვილი (13), ტაბატაძე (9), ანდღულაძე (20), შველიძე (4), ტალაბაძე (5), კოპალეიშვილი, ჩაჩხიანი, დავარაშვილი, ფიცხელაური

ვითა: ტურაშვილი (16), კოკოლიშვილი (14), ქარაბაკი (10), ნაცვლიშვილი (31), ორმოცაძე (6), დადიანი (33), ნინიაშვილი (2), ბოისა (1), დერიუგინი (4), კობეშავიძე (5)

**დინამო — სტუ 109:72**

დინამო: მაისურაძე (21), ხოშტარია (19), ბეჟანიშვილი (14), ცხვედიანი (18), სხიერელი (26), ჩერქეზიშვილი, დარსაძე (21), გოგუა

სტუ: ბოლქვაძე (4), გონაშვილი (4), თორთლაძე (12), ორჯონიკიძე (6), მიქაძე (25), იაზერსკისი (14), ენდელაძე (7), ლომიძე, სვანიძე

1 აპრილი

**შევარდენი — დინამო 63:116**

შევარდენი: ისაკაძე (16), ფიოდოროვი (7), ესიტაშვილი (16), ლვინეფაძე (14), თაბუაშვილი (10)

დინამო: ხოშტარია (23), ბეჟანიშვილი (6), დარსაძე (13), სხიერელი (18), ცხვედიანი (26), მაისურაძე (3), გოგუა (9), ჩერქეზიშვილი (8)

**სდასუ — ქიმიკოსი 71:73**

სდასუ: გიგაური (9), ქევხიშვილი (6), ნიკოლაძე (9), ბერიშვილი (10), ჩხეიძე (26), ეგუტია (5), მუშკუდიანი (4), გაბრიჩიძე (2)

ქიმიკოსი: კიკვიძე (5), გურასპაული (25), მ. ბერუაშვილი (8), კეჭაყმაძე (6), გ. ბერუაშვილი (24), აბზიანიძე (3), გოგოლაძე, ნიკლაური (2), ხაიაური

2 აპრილი

**კოლხა — სდასუ 40:66**

კოლხა: ქვილითაია (9), ბენდიაშვილი (4), კარტოზია (4), არველაძე (7), ბერია (6), სიხარულიძე (2), ქარუმიძე (2), აქირთავა (4), ჯიგანია (2), კიკალიშვილი, აბულაძე

სდასუ: ეგუტია (8), მუშკუდიანი (4), გიგაური (8), ბერიშვილი (12), ახობაძე (4), ჩხეიძე (9), დოლიძე (2), გაბრიჩიძე (2), ნიკოლაძე (21), ქევხიშვილი (6)

**შევარდენი — მაკაბი 71:75**

შევარდენი: ისაკაძე (23), ფიოდოროვი (9), ესიტაშვილი (22), ლვინეფაძე (7), თაბუაშვილი (10)

მაკაბი: უძილაური (21), ხუხაშვილი (9), ანდღულაძე (19), ჩაჩხიანი (9), ტაბატაძე (15), ფიცხელაური (2)


# CROCO-2

**ტირაჟი № 19**
(6 აპრილი)

1. ვიჩენცა — ატალანტა
2. სამპდორია — ბარი
3. კრემონეზე — ინტერი
4. მილანი — ლაციო
5. პარმა — ნაპოლი
6. ფიორენტინა — პადოვა
7. კალიარი — პიაჩენცა
8. რომა — უდინეზე

**ტირაჟი № 20**
(6-7 აპრილი)

1. ატლეტიკო — სალამანკა
2. კომპოსტელა — ტენერიფე
3. ვალენსია — ალბასეტე
4. ბეტისი — სანტანდერი
5. ოვიედო — ატლეტიკო
6. რეალი — ხიხონი
7. მერიდა — სელტა
8. ვალიადოლიდი — დეპორტივო





## გოგი ახვლედიანის შემოშველებული სვეტი

# ვინაა ყაფლან ჯანდიერი?

არაერთს დაუსვამს ეს კითხვა. განსაკუთრებით იმათ, ვინც დაჩვეულია ამ ჩვენს ბოლო გვერდზე უცხო რამ ხილთა (ანუ ჩვენთვის ნაკლებად სახილველ სპორტის სახეობათა) ამბების კითხვას. ხშირად, ამ გვერდზე ნახავთ ხოლმე კაცის, ოდნავ მსუქან, არისტოკრატულად შინ ნაზარდ სახეს, რომელსაც კოკობი ულვაში ამშვენებს.

ყაფლან ჯანდიერი უ-ელექტროფოსტ-ებს „სარბიელს" კრიკეტის, ლიგისა და სქვოშის გამო. ამ სახეობათა თაობაზე ქართველი ერის შეგნებულმა და შეუგნებლმა ნაწილებმა სწორედ ჯანდიერისეული ელექტროწერილებით შეიტყვეს.

და მაინც, არაერთს დაუსვამს ასეთი კითხვა: ვინ არის ყაფლან ჯანდიერი, ამ დევგმიროულ-ქართული ცისფერსისხლიანი გვარ-სახელის კაცი? კაცი ხან ყარაჩიდან და ხან ოქლენდიდან.

მე, როგორც მესვეტემ, რომელიც „სარბიელის" თანამშრომელთაგან ბარე ორს ბავშვობიდან ვიცნობ, ამ კაცის არსებობა შარშან შევიტყვე. უფრო მეტიც, გვიან ღამით შევხვდი კიდეც მას, წყალჯომარდობისა და შეიპინგ-ბოდიბილდინგის ცნობილი რეპორტიორის, თენგიზ არტამონოვის ბინაზე, სადაც ასანთის სათხოვნელად შევიარე და ელეგანტურ უცხოელს კი წავაწყდი, ვინაც ქართველი გამოდგა. მაშინ ყაფლან ჯანდიერი სტრატოსფერული ლაბორატორიის თბილისში გახსნის იდეით იყო ანთებული და გიგანტური ლინზებიც ჩამოეტანა, მაგრამ სამხედრო საბჭოს ლინზები სხვა რამისთვის დასჭირდა და სანამ ჯანდიერი ზედადგარსაც ჩამოიტანდა, ისინი ვინმე შნეერსონს გაუცვალა ლუდის მადუღ ქარხანაში. ერთ-ერთი, სასწაულად გადარჩენილი ლინზა არტამონოვთა სხვენში ინახება. მიუხედავად ამისა, ყაფლან ჯანდიერს წინაპართა სამშობლო უყვარს და აქ უცხო რამეების ფედერაციებიც კი დააარსა.

ქვემოთ მოტანილი ბიოგრაფიული ცნობები თენგიზ არტამონოვმა მოგვაწოდა. მან უარი თქვა, თავად გაეშუქებინა ჯანდიერის ცხოვრება. განაცხადა, მეგობრის შესახებ წერა ძნელიაო.

ყაფლან ჯანდიერი დაიბადა 1951 წელს, დარემში, უბონეზერ გლინს დარემ VII ჰერცოგის ოჯახში. ეს კაცი მისი ბიძა გახლდათ, მამა კი იყო ცნობილი ჯან-ზურაბ ჯანდიერი, ემიგრანტთა შთამომავალი, რომელიც პატარა ყაფლანის დაბადებიდან შვიდი თვის თავზე ლომმა დაგლიჯა კასაბლანკის შორიახლოს სანადიროდ გასული.

დედის მხრიდან მაღალმა წარმომავლობამ და ქონებამ, ხოლო მამის მხრიდან ქართველურმა სიჩაუქემ ყაფლან ჯანდიერი მაღალი არისტოკრატიის ცნობილ შვილად აქცია. მან ისწავლა ითონში, ოქსფორდსა და მისი უდიდებულესობის დიპლომატიურ სკოლაში.

1971 წელს ყაფლან ჯანდიერი დაინიშნა გილბერტის კუნძულების (მიკრონეზიულად კირიბატის) რეზიდენტ კომისრად. 1975 წელს გადაიყვანეს სენტ-ვინსენტის მთავარ პროტექტორად, ხოლო 1979 წელს პიტკრერნის (იგივე ბაუნტის) კუნძულის გუბერნატორად.

ამ თავბრუდამხვევი კარიერის შემდეგ ყ. ჯანდიერი თადარიგში გავიდა და ბიზნესლიზინგობას და ნოვატორობას შეუდგა. არ დავიწყებია თავისი საყვარელი სპორტული თამაშებიც. ბნელ ქვეყნებში ეწეოდა კრიკეტ-კროკეტის, გოლფის, სტიპლ-ჩეიზისა და ბადმინტონის პოპულარიზაციას. ამ სახეობათა განმტკიცების გამო მადლიერმა ტონგელმა ხალხმა მას ამაგი დაუფასა. ტონგელთ ხელმწიფე ტაუფა აჰაუ ტუპოუ IV-მ იქაური ორდენი — „პალმის დიდი რტო" მიანიჭა. ყაფლან ჯანდიერი ცნობილია იმითაც, რომ ყველგან იცავს თავის საყვარელ სპორტულ სახეობებს. მაგალითად, მან ხელი შემოჰკრა დიეგო მარადონას, რომელმაც თქვა, რომ კონკური სპორტი არ არისო. ეს გახმაურებული ფაქტი რომში მოხდა 1989 წელს. ყაფლანმავე უჩივლა როლანდო ბლექმენს (NBA-ს ვარსკვლავს), რომელმაც კალათბურთს სპორტის მეფე უწოდა. ჯანდიერმა ეს პროცესი წააგო.



აი, ასეთი კაცია სერ ყაფლან ჯანდიერი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი.

რაგბი

# ქვინზლენდი დაწინაურდა

## ზე-12-ის პირველობა

29 მარტი

| | | |
|---|---|---|
| კანბერა | 44:31 | ნატალი |
| ქენთებრი | 21:16 | ახ.სამხრ.უელსი |
| ქვინზლენდი | 25:18 | ჩრდ.ტრანსვაალი |

30 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ვაიქათო | 44:17 | დას.კონცხი |
| ოთაგო | 15:44 | ველინგთონი |

2 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ოქლენდი | 51:29 | ოთაგო |
| ახ.სამხრ.უელსი | 6:34 | ნატალი |

3 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ვაიქათო | 26:18 | კანბერა |
| ქვინზლენდი | 36:26 | დას.კონცხი |
| ქენთებრი | 18:34 | ჩრდ.ტრანსვაალი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვინზლენდი (ავ) | 6 | 5 | 0 | 1 | 188:164 | 23 |
| ოქლენდი (ზ) | 5 | 4 | 0 | 1 | 218:145 | 22 |
| ჩრდ. ტრანს (აფ) | 5 | 4 | 0 | 1 | 173:109 | 19 |
| კანბერა (ავ) | 6 | 4 | 0 | 2 | 160:172 | 19 |
| ახ. სამხ. უელ (ავ) | 6 | 3 | 0 | 3 | 157:130 | 16 |
| ოთაგო (ზ) | 6 | 3 | 0 | 3 | 211:211 | 16 |
| ვაიქათო (ზ) | 6 | 3 | 0 | 3 | 167:176 | 15 |
| ნატალი (აფ) | 5 | 3 | 0 | 2 | 164:127 | 14 |
| ველინგთონი (ზ) | 5 | 2 | 0 | 3 | 157:134 | 12 |
| ქენთებრი (ზ) | 6 | 1 | 1 | 4 | 115:194 | 7 |
| ტრანსვაალი (აფ) | 5 | 1 | 0 | 4 | 77:129 | 5 |
| დას. კონცხი (აფ) | 7 | 0 | 1 | 6 | 158:254 | 3 |

შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალური ქულა

ამ უქმეებზე: 6.IV. ველინგთონი — ნატალი; 7.IV. ოქლენდი — ჩრდ. ტრანსვაალი; 8.IV. ქენთებრი — კანბერა

**ბრისბენის** (ავსტრალია) ქვინზლენდი, სამხრეთი ნახევარსფეროს ბოლო ორი წლის ჩემპიონი რომაა და ლამისაა სულ მთლად „ვოლაბების" ან ნავოლაბარებისგან შედგება, არასრული ექვსი ტურის შემდეგ კენწეროში მოექცა ზე-12-ის ცხრილს. არადა, „წითლებმა" სეზონი საშინელი მარცხით დაიწყეს — ოთაგოს „მთიელებთან" სტუმრად 40 ქულით დამარცხდნენ.

ქვინზლენდს პირველობის კარგი შანსი აქვს: მთავარ მეტოქეებს — სიდნეის ახალ სამხრეთ უელსსა და ზელანდიის ოქლენდს შინა ხვდება, შესაბამისად 14 და 26 აპრილს. აქვე შევნიშნოთ, რომ წრიულ შეჯიბრში პირველობა არსებითია, ვინაიდან ნახევარფინალიცა და ფინალიც იმის მოედანზე გაიმართება, ვისაც უკეთესი ადგილი ეჭირება.

„წითლები" ბოლო ორ ტურში აფრიკელებს ეთამაშებოდნენ. ჩრდ. ტრანსვაალთან გაუჭირდათ, ლელოებით 1-2 კიდეც „წააგეს", პირველ ტაიმშიც დამარცხდნენ 10:13; მერე აყლაყუდა ჯონ ილზს (6) დაუფარეს და ფანსხალკვიკმა (12) ლელოთი მეტად დააწინაურა სტუმრები, მაგრამ ილზმა მასპინძელთა მიძალების კვლად დანიშნული ხუთი საჯარიმო შეაგდო. რაც შეეხება კონცხთან თამაშს, ქვინზლენდმა ხუთი ლელო გაიტანა, თუმც კაპიტანმა თიმ ჰორანმა (15) იდაყვი მაგრად იტკინა.

**ქვინზლენდისაგან** განსხვავებით ცუდად წაუვიდა საქმე ახალი სამხრეთი უელსის „ვარათაზს". მაჩანჩალა ქენთებრის „ჯვაროსნებს" ერთადერთი მოგება აქვთ და ისიც სიდნეელებთან. ამ თამაშში ზელანდიელები შესვენების შემდეგღა დაწინაურდნენ, წამატებულ დროში კი სიდნეელი ჯეისონ მედზი (13) მეტოქის ლელოში თუმც დავარდა, ოქლენდელმა მსაჯმა ბრძანა, მეტოქესთან ჭიდილში ბურთი ვერ დაამიწაო.

გამოხდა ოთხი დღე და სიდნეის საბურთაო სტადიონზე შეკრებილი 30-ათასიანი აუდიტორია დაზაფრა თავისიანების შესვენების შემდგომმა მარცხმა. მეთიუ ბერქის (15) საჯარიმოთი „ვარათაზი" 3:0 უგებდა დურბანის ნატალს, მაგრამ ამან მეორე ტაიმში ხუთი უპასუხო ლელოც გაიტანა (თომსონი - 2, ი. ჟუბერი, სმოლი, ფივი) და ბურთიც ექვსჯერ დააცილა კარს, თორემ ანგარიში მეტი იქნებოდა.

**სიდნეიში** სტუმრობამდე ნატალმა კანბერის კრიკეტის სტადიონი — „მანუკა ოვალი" მოიხილა. აქ პირიქით მოხდა: მასპინძელმა „ბრამბიზმა" 11:21 წააგო პირველი ტაიმი, მაგრამ მეორეში მაგრად გარეკა და ანგარიში 40-ს გადააცილა. ნორმა „ვოლაბმა" ჯო როფმა (11) ნატალს ერთბაშად ოთხი (!) ლელო გაუტანა. მასპინძლებს საწყისი ტურების შემდეგ კიდევ ორი „ვოლაბი" — პეტ ჰოვარდი (12) და თროი ქოქერი (8) შემატებია.

ნატალთან მოგებით „ბრამბიზი" პირველ ადგილზე გადავიდა, მაგრამ ლიდერობა შემდეგსავე ტურში დაკარგა, რადგანაც მეორედ მოუწია სტუმრად თამაში და მეორეჯერვე დამარცხდა — ამჯერად ვონგარეიში, ვაიქათოს „ბელადებთან", რომელთა „ოლ ბლექსელ" ვოლთერ ლითლს (12) მანამდე, დოპინგ-სინჯში აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინეს, სასჯელად კი ორი თამაშის გამოტოვება აკმარეს, ვინაიდან ამან დაარწმუნა, კბილის ტკივილის გასაყუჩებლად დავლიე წამალიო.



„წითლების" აყლაყუდა მოლკინალი ჯონ ილზი დერეფანშიც მაგარია, ბურთაობაშიცა და კარში დარტყმაშიც

„ბელადთა" და „ბრამბიზის" მატჩში ხან ერთი გუნდი იყო წინ და ხან მეორე. თამაშის ბოლოს მასპინძელმა ვორენ ბერთონმა (10) შორიდან ორი საჯარიმო გაიტანა და „ბელადები" 23:18 დააწინაურა. კანბერელები „ღირსეულად წაგებისათვის" ერთ ქულას მაინც ითრევდნენ, მაგრამ იმავე ბერთონმა ბოლო სასტვენის წინ ერთი საჯარიმოც შეაგდო და რადგანც სხვაობამ შვიდ ქულას გადააჭარბა, „ბრამბიზი" ხელცარიელი გაისტუმრა.

**უმთავრესმა** ფავორიტებმა — ოქლენდის „ლურჯებმა" ჯონა ლომუს მშობლიურ პუკეკოეში უმასპინძლეს ოთაგოს „მთიელებს", რომლებმაც მანამდე შინ ლელოებით 0-5 წააგეს ველინგთონთან. მეტოქეებმა შესვენებამდე სამ-სამი ლელო გაიტანეს, მაგრამ მეორე ნახევარში ოქლენდმა თავის მონაგარს თუ კიდევ ოთხი შემატა, ოთაგომ — მხოლოდ ერთი, რისთვისაც პრემიალური ქულა მაინც ერგო. გამარჯვებულთაგან ორჯერ ისახელა თავი ენდრიუ ბლაუერსმა (7).

## აქეთური, იქითური

**მძლეოსნობა** ჩინელი სტაიერი ქალის, ცნობილი მწვრთნელის — მა ჯუნ რენის შეგირდ ვან ჯუნ შას გამო ეგონათ, სპორტს თავი გაანებაო, მაგრამ იგი თურმე ნანჯინის მახლობლად სოფელში 1 500 მეტრზე რბენის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლიუ დონგის მხარდამხარ ვარჯიშობს და ატლანტაში საასპარეზოდ ემზადება. ვანმა თავის დროზე მას საწვრთნელი მეთოდები ტირანულად შერაცხა და მოძლვარს ვარცხნილობისა და ბოი-ფრენდის ყოლის გამოც წაეკიდა და განუდგა, მაგრამ შარშან ოქტომბერში ჩინეთის სოფლის თამაშებზე თავისსავე მსოფლიო რეკორდს ორი წუთით რომ ჩამორჩა, ჭორი დაირხა, ახლა კი უთუოდ წავა დიდი სპორტიდანო. რაც შეეხება თავად 53 წლის მოძღვარს, მას შინაგანი სისხლდენა აუტყდა და პეკინის სახალხო ჰოსპიტალშიც უკრეს თავი, საიდანაც შემოუთვლია, ვიდრე ჩემიანებს არ გავაოლიმპიურჩემპიონებ, ვერ მოვისვენებო. მას გუნდში 40 ქალია. ამათ სამი თვე უვარჯიშიათ მაღალმთიანეთში.

**ავტორბოლა** ამერიკული „კრაისლერი" 65 წლის შემდეგ უბრუნდება უცნობილეს სადღელამისო, 24-საათიან შეჯიბრს, ივნისში ლემონში (საფრანგეთი) რომ გაიმართება. „კრაისლერი" ერთბაშად ხუთ ეკიპაჟს გამოიყვანს.

**ჩოგბურთი** დღეს დევისის თასის მეოთხედფინალები იწყება. გერმანია საფრანგეთს უნდა შეეჯიბროს, მაგრამ ბორის ბეკერი ისე შეუწუხებია ბრონქიტს, რომ ვერ ითამაშებს. ქალთა ტურის მონაწილენი ჰილტონ-ჰედ-აილენდში (სამხრეთი კაროლინა, აშშ) ასპარეზობენ. ეს ტურნირი სეზონის პირველი შეჯიბრია, თიხნარზე რომ იმართება. კვლავ ვერ თამაშობს მონიკა სელეში, ვისაც სახსრების ანთება აწუხებს და უკეთეს შემთხვევაში მაისამდე თუ მოურჩება. სამაგიეროდ, მოკეთდა ფრანგი მარი პირსი, ვინაც პირველ წრეში 6:7, 6:3, 6:1 აჯობა ამერიკელ ჯიჯი ფერნანდესს, ბულგარელი მაგდალენა მალეევა კი 21 წლისა რომ შესრულდა, იმ დღეს 6:2, 7:6 მოუგო ლიზა რეიმანდს (აშშ).

**კრივი** 22 ივნისს ატლანტიკ-სითიში მცირე, მაგრამ საგულისხმო შერკინებაა: მსოფლიოს ხუთგზის, ან კი ექს-ჩემპიონი, 44 წლის რობერტო დიურანი არასაჩემპიონო ბრძოლაში უნდა შეებას ერნესტო მაჩო-კამაჩოს. ამ ჩხუბის პრეზენტაცია 1 აპრილს გაიმართა ნიუ-იორკში და როგორც ხშირად ყოფილა, ჩხუბითვე დასრულდა: ბებერი დიურანი აუხირდა მეტოქეს, მედიასთან ურთიერთობაში ჩემდამი პატივისცემას ვერ გატყობო, და იქვე ხელდახელ შეება.

**ნიჩბოსნობა** ხვალ, თემზაზე, ტრადიციული ლონისძიებაა — ქემბრიჯისა და ოქსფორდის რვიანები 142-ედ შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მართალია, ოქსფორდს უფრო მძიმე გუნდი ჰყავს — ამათი ეკიპაჟის წევრის საშუალო წონა ოთხნახევარი კილოთი მეტია მეტოქისაზე, მაგრამ ბოლო წლების სტატისტიკა მოწმობს, რომ წონა გადამწყვეტი ალარა ყოფილა: წინა სამი შეჯიბრიდან ორი ქემბრიჯმა ისე მოიგო, რომ ოქსფორდზე მსუბუქი, ოლონდაც უკეთ შეხმატკბილებული გუნდი ჰყავდა.



## უცხო რ[illegible]ელები

**ლიგის რ[illegible]ბი** [illegible] დიდი მანჩესტერის პოლიციამ დააპატიმრა ბრიტანეთის უბობოლესი კლუბის — „ვიგანის" თავმჯდომარე ჯექ რობინსონი და დირექტორი ჯონ მარტინი. ამათ, გაზეთ „ვიგან ობზერვერის" მტკიცებით, დიდი ფული მოტეხეს ბურჯ ნილ ქაუის ტრანსფერის დროს. რობინსონი ანტიკვარიატის დილერია და კლუბის საბჭოში 16 წელია მოღვაწეობს. დაპატიმრებულებს მთელი „ვიგანი" გამოექომაგა, თავადაც უარყვეს ბრალდება და თავდებით კიდეც გაათავისუფლეს, მაგრამ პოლიციამ დაიბარა 8 მაისისთვის — სწორედ იმ დღისთვის, მანჩესტერის „მეინ როუდზე", ჩვენი გიო ქინქლაძის „სითის" სტადიონი რომაა, რაგბისა და ლიგის ისტორიულ, შესარიგებელ მატჩში „ვიგანი" ინგლისური რაგბის მშვენებას — „ბასს" რომ უნდა გაეჯიბროს.

**კეტბურთი** შარშანწინდელმა გაფიცვამ და ერთობ დიდი ფულის გამო გაჭიანურებულმა დავამ ავნო ამერიკელთა საყვარელი თამაშის იმიჯს: შარშან თამაშებზე დასწრებამ 20 პროცენტით იკლო, პოპულარობის სკალაზე კი კეტბურთს კალათბურთმაც გაუსწრო და ბურთაობამაც. ამან ერთობ შეაფუცხუნა „მეიჯორ ლიგ ბეისბოლის" მმართველები და შეაცვლევინა რეგულარული სეზონის სტრუქტურა: თუ აქამდე „ეროვნული" და „ამერიკული" ლიგები ცალ-ცალკე მართავდნენ ჩემპიონატებს, მერე კი ამათ რჩეულნი ოქტომბერში შვიდმატჩიან „მსოფლიო სერიალში" ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ამიერიდან ლიგათშორისი თამაშები რეგულარულად გაიმართება. რაკი თამაშთა რიცხვმა იმატა, წლევანდელი სეზონი XX საუკუნეში პირველად დაიწყო უჩვეულოდ ადრე — 31 მარტს, მაგრამ დახეთ უბედურებას: კლივლენდში თამაში თოვლმა ჩაშალა, ბოლტიმორსა და ფილადელფიაში — წვიმამ, ხოლო ცინცინატში — მსაჯის სიკვდილმა: უცნობილესმა „ამფაიერმა", გვარად მაქშერიმ, 143 კილოს რომ იწონიდა და შარშანვე უჩიოდა ქოშინს, მოედანზე დალია სული.

**კრიკეტი** შრი-ლანკას მიერ მსოფლიო თასის მოგებიდან სულ რაღაც ორი კვირის თავზე პოსტზე მეორე ვადით აღარ აირჩიეს ამ ქვეყნის კრიკეტის საბჭოს უპატივცემულესი პრეზიდენტი, ბატონი ანა პუნჩაპევა: მას ხუთი ხმით აჯობა ბიზნესმენმა და ექს-ვიცე-პრეზიდენტმა ოპალი დაამადასამ, ვინაც ამომრჩევლები ლანკური კრიკეტის მრავალმხრივ განვითარების პროგრამით მოხიბლა. ამასობაში, სინგაპურში, სამთა შეჯიბრი გაუჩაღებიათ ინდოეთს, პაკისტანსა და შრი-ლანკას. თამაშთა თამაში სამშაბათს გაიმართა, როცა ლანკელებს ექს-ჩემპიონი პაკისტანი შეება. შრი-ლანკამ 50 წყებაში 9 ბჭის სანაცვლოდ 349 გარბენი მოაგროვა, მერე პაკისტანი 50-ე წყების დროს 315 გარბენის სანაცვლოდ გააგდო და 34 გარბენით გაიმარჯვა. თამაშს სულ რაღაც ათასი კაცი დაესწრო. არადა, თითოდღიანი კრიკეტის ერთბაშად ოთხი მსოფლიო რეკორდი დამყარდა: უპრეცედენტო გამოდგა მეტოქეთა ჯამური მონაგარი — სატანური 666, ლანკელმა სანათ ჯაისურიამ კი, მსოფლიო თასის საუკეთესო მოთამაშედ რომ სცნეს და ავტოთიც დააჯილდოვეს, რეკორდთა პეთ-თრიქი გაახერხა. ამ ტაფელოსანმა ამიზ სოპელის წყებაში (6 მოწოდებაში) 29 გარბენი მოაგროვა, მთელს შესვლაში ბურთი 11-ჯერ გაგზავნა უშუალოდ მოედნის კიდეზე (აქამდე რეკორდი — 9 „ექვსიანი" დიდ ვესტ-ინდოელ გორდონ გრინიჩს ეკუთვნოდა), ხოლო ასი გარბენის მიჯნა 48 მოწოდებაში დაძლია (მანამდე რეკორდსმენი იყო ინდოეთის კაპიტანი მუჰამედ აჟარუდინი, ვინაც 1989 წელს ასეულს 62-ე მოწოდებისას უწია). სულ ამ თამაშში ჯაისურიამ გაუვარდნელად შეიძლო 134.

**გოლფი** კვირას ამერიკელმა ფრედ ქაფლზმა მოიგო „მოთამაშეთა პირველობა", პონტე-ვედრაში (ფლორიდა, აშშ) რომ დასრულდა და მსოფლიოს 50 მოწინავე პროფესიონალიდან 44 მონაწილეობდა. ქაფლზმა ნორმას 18 დარტყმით აჯობა, ჯილდოდ 630 ათასი დოლარი მიითვალა და ოთხ-ოთხი დარტყმით მოიტოვა ამერიკელი თომი თოულზი და შოტლანდიელი ქოლინ მონთგომერი. ორშაბათს მსოფლიო კლასიფიკაციის მოწინავე ექვსეული ასე გამოიყურებოდა: 1. გრეგ ნორმანი (ავსტრალია); 2. მონთგომერი; 3. ნიქ პრაისი (ზიმბაბვე); 4. ერნი ელსი (სამხრეთი აფრიკა); 5. კორი პეივინი (აშშ); 6. ბერნჰარდ ლანგერი (გერმანია).

## ფორმულა-1 მსოფლიო [illegible]

[illegible] ეტაპი. არგენტინის „დიდი პრიზი" [illegible] ოსკარ გალვესის სახელობის ტრასა

სიგრძე: 4 259 მ. დისტანცია: 72 წრე — 306,482 კმ




რეკორდი კვალიფიკაციისას: ნელსონ პიკე (ბრებჰემ-ფორდი, 1981) 1.42,665 (209,281 კმ-სთ). წრის რეკორდი (რბოლისას): ნელსონ პიკე (ბრებჰემ-ფორდი, 1981) 1.45,287 (204,066კმ-სთ)

შარშანდელი შედეგები. კვალიფიკაცია: დევიდ კულჰარდი (უილიამს-რენო) 1.53,241. საუკეთესო წრე: მიხაელ შუმახერი (ბენეტონ-რენო) 1.30,522 (163, 377 კმ-სთ). გამარჯვებული: დეიმონ ჰილი (უილიამს-რენო) 1:53.14,532 (162, 385 კმ-სთ)

არგენტინის „დიდი პრიზი" 1953 წლიდან იმართება. სულ ჩატარდა 16 რბოლა: 1953-58, 1960, 1972-75 და 1977-81 წლებში. ყველაზე მეტი გამარჯვება მოპოვებული აქვს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, არგენტინელ ხუან-მანუელ ფანხიოს.

1960 წელს არგენტინაში შედგა უკანაძრავიანი „ლოტუს-18"-ის დებიუტი, რომლის პილოტმა ინეს აირლენდმა მხოლოდ ბოქსებში გაჩერების შემდეგ დათმო პირველობა.

ისტორიაში შევიდა 1977 წლის რბოლაც, როდესაც ახალმა გუნდმა „ვოლფ-ფორდმა" პირველივე რბოლა გამარჯვებით დაასრულა (პილოტი ჯოდი შექტერი).

ამავე ტრასაზე პირველად გამოჩნდა ალენ პროსტი და პირველი ქულაც მოიპოვა.

შარშან, 14-წლიანი შესვენების შემდეგ, არგენტინის პრეზიდენტის კარლოს მენემის მეცადინეობით ბუენოს-აირესის რბოლა კვლავ შეიტანეს მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარში. იგი „უილიამს-რენოს" ტრიუმფით დასრულდა: ჰილმა გაიმარჯვა, ხოლო კულჰარდმა „პოული" მოიპოვა.

ტრასა „ინტერლაგოსთან" შედარებით უფრო ტექნიკურია; აქვს სწორი მონაკვეთები, სადაც ბოლიდები დიდ სისწრაფეს ავითარებენ. როგორც ჩანს, მცირე უპირატესობა ექნებათ მძლავრ „რენოს" და „ფერარის" ძრავიან ავტოებს, თუმც თუ წინა რბოლის მიხედვით ვიმსჯელებთ, არც „პეჟოს" ძრავიანი „ჯორდანი" უნდა იყოს ჯაბანი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პილოტების ფიზიკურ მზადყოფნასაც — განსაკუთრებით მზიანი, ცხელი ამინდის შემთხვევაში.

ალეკო ჟაბუკიანი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კპარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29